

136
1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241



**საქართველოს რესპუბლიკის
ბინისტრთა კაბინეტის
დადგენილებათა კრებული**

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1991 წ.



საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1991 წ.

შ ი ნ ა ბ რ ა ი

192. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხოეთის ქვეყნებში მოქალაქეთა და სატრანსპორტო საშუალებათა გასვლისათვის ერთჯერადი გამოსაღების დაწესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 აგვისტოს № 706 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე.
193. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფილოსოფიის სახელობის ერთი სტიპენდიის დაწესების შესახებ.
194. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაჟოების გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისა და რეექსპორტის განხორციელებისას დამატებითი დანახარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.
195. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბუღალტრო ანგარიშგებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ.
196. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციოდ ლიმონისა და ფორთოხლისათვის გადასახადის დაწესების შესახებ.
197. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხოეთის ქვეყნებში მოქალაქეთა და სატრანსპორტო საშუალებათა გასვლისათვის ერთჯერადი საბაჟო განაკვეთების დაწესების შესახებ.
198. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუშაო დროის ერთი საათით ადრე დაწყების შესახებ.

199. საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნის შესახებ.
200. „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 და 10 ოქტომბრის № 774 დადგენილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
201. ინფორმატიზაციის დარგში რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დაარსების შესახებ.
202. შემეცნებით-კომერციული თამაშის „ტეხნიკური სიტყვის“ ჩატარების შესახებ.
203. ფეროშენადნობთა ფასების რეგულირების შესახებ.
204. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 აგვისტოს № 706 დადგენილების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ.
205. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარელიზაციო ხურმისათვის (კარალიოკი) გადასახადის დაწესების შესახებ.
206. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის აქტების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.
207. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ.
208. საქართველოსა და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების, მათი ფილიალების რეგისტრაციის და დაბეგვრის წესის შესახებ.
209. ქ. თბილისში გერმანიის ფირმა „ანტონ ოლერტ“-ის წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.
210. 1991 წლის ბოლომდე და 1992 წლის პირველ კვარტალში მუშაობის სპეციალური რეჟიმის დაწესების შესახებ.
211. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დროებითი დებულების სტრუქტურისა და მისი დაქვემდებარების ორგანიზაციების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
212. საბიუჯეტო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მომპირნობით და მიზნობრივად გამოყენების შესახებ.
213. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სასურსათო და არასასურსათო საქონლის არაორგანიზებულად გატანის შეზღუდვის დროებით ღონისძიებათა შესახებ.
214. იმ მოქალაქეებისათვის ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ, რომლებიც დაეხმარნენ სამარტალდამცემ ორგანოებს დანაშაულის გახსნაში.
215. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს შექმნის შესახებ.
216. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის № 849 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
217. მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით ანაბრის სახეობათა სრულყოფისა და შესაბამისი ოპერაციების ცვლილებათა შესახებ.

- 218. საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამ-რეწველო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ.
- 219. საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკის წესდების დამტკი-ცების შესახებ.
- 220. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სახელობითი სტიპენდიების დაწესების შე-სახებ.
- 221. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებ-ლად შრომების წარმოდგენის და კონკურსზე დაშვებული შრომების სიის პრესაში გა-მოქვეყნების ვადების შესახებ.
- 222. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ.
- 223. მეურნე სუბიექტთა აღრიცხვის სრულყოფის შესახებ.
- 224. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ავიაკომპანია „ივერიას“ შექმნის შესახებ.

19857

საქართველოს
ეროვნული

192 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან უსვომა-
 თის ძველფეხი მოძალამეთა და საბრანსკოროტო საშუალებათა
 განვლინათვის მრთჯარადი გამოსაღების დაწესების შესახებ“ სა-
 ქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30
 აგვისტოს № 706 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაო-
 ბაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მრეწვემწნაქის აჭარის სამ-
 მართველოს გახსნას სპეციალური სავალუტო ანგარიში ერთჯერადი თანხების
 ჩასარიცხად.

2. დაევალოს სსრ კავშირის სავარგო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის
 საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს უზრუნველყოს:

— სარფისა და ბათუმის საბაქოებთან შემნახველი ბანკის სადღეღამი-
 სო ფილიალების თანამშრომლების კვალიფიციური მომზადება სავალუტო
 ოპერაციების წარმოებისათვის;

— საქართველოს შემნახველი ბანკის აჭარის სამმართველოსათვის უცხო-
 ური ვალუტის სიყალბის დასადგენი სამი აპარატის შეძენა.

3. გამოეყოს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველ ბანკს სარფისა და
 ბათუმის საბაქოებთან შემნახველი ბანკის დაწესებულებების მეშვეობით ერთ-
 ჯერადი გამოსაღები თანხების მიღებისათვის საკომისიო გასამრჯელოს სახით
 საერთო შემოსული ვალუტის 2 პროცენტი — მანეთების 3 პროცენტი.

4. საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ
 გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის აჭარის სამმართ-
 ველოს ერთი ავტომობილი „უაზი“ შემოსული თანხების ინკასაციისათვის.

5. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 30 აგვისტოს № 706 დადგენილების მე-3 მუხლი.

საქართველოს რესპუბლიკის
 პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
 მინისტრთა კაბინეტის
 კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

193 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფიროსმანის სახელობის ერთი სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა რესპუბლიკური საბჭოს განათლების ფონდის საქველმოქმედო კომერციული ასოციაცია „ფიროსმანის“ თხოვნა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაინიშნოს ფიროსმანის სახელობის ერთი სტიპენდია 150 მანეთის ოდენობით, რომელიც დაემატება სახელობითი სტიპენდიანტის ძირითად სტიპენდიას.

2. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა რესპუბლიკური საბჭოს განათლების ფონდმა უზრუნველყოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ანგარიშზე აღნიშნული სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხის გადარიცხვა წელიწადში 1800 მანეთის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ბ. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 8 ნოემბერი, № 839

194 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო საბაჟოების გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისა და რამქსპორტის განხორციელებისას დამატებითი დანახარჯების ანაზღაურების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთთა გადაზიდვისა და რექსპორტის მოცულობის გაზრდით გამოწვეული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების, სატრანსპორტო არტერიების გადატვირთვის, ენერგეტიკული და სხვა სახის რესურსების დანახარჯების გაზრდის, დემოგრაფიული და სოციალური სიტუაციის მოსალოდნელი გაუარესების გამო გამოწვეული რესპუბლიკის დამატებითი დანახარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკისა და უცხოეთის ქვეყნების იურიდიული პირები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაჟოების გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისა და რექსპორტის განხორციელებისას, ყოველ გარიგებაზე, საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ გადაიხდიან საექსპორტო საქონლის ღირებულების 15 პროცენტს ფულადი ან ნატურალური გამოხატულებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ

სხვა გადასახადების გარდა, აღნიშნული გადასახადი შეიძლება გაღებული იქნეს ფულადი ან ნატურალური გამოხატულებით სატრანზიტო გადაზიდვაში ან რეექსპორტში მოსაწილე იურიდიული პირისა და რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი ფულადი ან ნატურალური წილი (15 პროცენტი) განისაზღვრება საკონტრაქტო გაორგებების ფასის მიხედვით.

რეექსპორტის განხორციელებისას, თუ რეექსპორტიორს საქართველოში შემოაქვს საჭირო საქონელი, რესპუბლიკის კუთვნილი წილი განისაზღვრება დაწესებულ 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით.

ცალკეული იურიდიული პირების აღნიშნული გადასახადიდან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალური განკარგულების საფუძველზე.

აეკრძალოთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს თავიანთ ტერიტორიებზე ყოველგვარი სხვა გადასახადების დაწესება, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობითა და მოცემული დადგენილებით გათვალისწინებული გადასახადებისა.

2. გადაწყვეტილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეექსპორტის განხორციელების შესახებ, შესაბამისი ლიცენზიების მომზადება და გაცემა ხდება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

3. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში რეექსპორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისი ლიცენზიის მომზადება და გაცემა წარმოებს იურიდიული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე არა უმეტეს 3 დღის განმავლობაში, განცხადებას თან ერთვის:

— იურიდიული პირის, როგორც საგარეო ეკონომიკური კავშირების მონაწილის სარეგისტრაციო ბარათი;

— საქონლის შეძენისა და რეალიზაციის კონტრაქტების ასლები ან მხარეთა მიერ ხელმოწერილი განზრახულობათა ოქმი;

— ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან რესპუბლიკის კუთვნილი წილის (15 პროცენტი) გადახდის ან ნატურით გადაცემის თაობაზე (ნიმუში თან ერთვის).

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საგარეო საქმეთა სამინისტრო განმცხადებელს წერილობით აცნობებს უარის მიზეზებს.

4. ნებართვა რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით სატრანზიტო გადაზიდვის განხორციელების შესახებ გაცემა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

5. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შატერიალური რესურსების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ,

რომ, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურნიზმის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბუქოსთან არსებულმა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკმა, საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კონტროლის სამმართველომ 3 დღის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარმოუდგინონ ამ დადგენილებების შესაბამისად შემოსული სავალუტო სახსრების რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვისა და ნატურით გადმოცემული წილის აღრიცხვისა და განაწილების წესი.

6. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კონტროლის სამმართველომ ყოველკვირეულად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს რესპუბლიკაში განხორციელებული სატრანზიტო გადაზიდვების, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყოველთვიურად შეაჯამოს და წარმოუდგინოს ანგარიში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მოცემული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. რესპუბლიკის მოსახლეობის პირველადი მოთხოვნების საქონლით უკეთ დაკმაყოფილების მიზნით 1991 წლის 15 ნოემბრიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგარეო ეკონომიკურ კავშირებში რეგისტრირებულ ყველა მონაწილეს მიეცეს სატრანზიტო, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებში საშუაშავლო საქმიანობის განხორციელების უფლება.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში საერთაშორისო საკითხთა მთავარ სახელმწიფო მრჩეველთან შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული დანაყოფი რეექსპორტისა და სატრანზიტო გადაზიდვების თაობაზე მოცემული დავალებების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის მიზნით.

9. თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის საბაჟოებიდან და სარფის სასაზღვრო პუნქტის გავლით განხორციელებული რეექსპორტისათვის საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი წილიდან 10-10 პროცენტი გადაეცეს სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

პ. კვარაცხელია



საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის
№ 849 დადგენილების დანართი

ვალდებულება (ხელშეკრულება)

სატრანზიტო ექსპორტის მწარმოებელი _____

სრული სახელწოდება, მისამართი,

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი და ბანკის დასახელება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის „
ნოემბრის № _____ დადგენილების საფუძველზე ვალდებული ვარ მინისტ-

რთა კაბინეტის _____

სპეციალური ანგარიშის № _____ და ბანკის დასახელება

გადავრიცხო სატრანზიტო ექსპორტით უცხოეთში გატანილი პროდუქციის

_____, რომელიც თანხით შეადგენს _____

პროცენტი

თავისუფლად კონვერტირებულ
ვალუტის დასახელება

ან გადავცე საქონელი ნატურით _____ რომელიც შეადგენს _____

პროცენტის

ათას

შესაბამისი განზომილების ჩეენებით (ტონა მ³) და ა. შ.

ვალდებულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება სატრანზიტო ექსპორტის მწარმოებელს, ორი ეგზემპლარი საბაჟო სამმართველოს ერთი რჩება მინისტრთა კაბინეტს. საბაჟო სამმართველო ექსპორტის განხორციელებისთანავე ვალდებულების ერთ ეგზემპლარს უგზავნის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, ხოლო მეორეს იმ ბანკს, რომელშიც გახსნილია მინისტრთა კაბინეტის სპეციალური ანგარიში, მინისტრთა კაბინეტის წილის ჩარიცხვა მითითებულ ანგარიშზე ხდება ექსპორტის განხორციელებიდან 10 დღის განმავლობაში. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში სატრანზიტო ექსპორტის მწარმოებელი პირველი ხუთი დღის განმავლობაში ჯარმის სახით იხდის მინისტრთა კაბინეტის კუთვნილი წილის 0,1 პროცენტს, ხუთი დღის ზევით 0,2 პროცენტს ყოველდღე, ოღონდ არა უმეტეს 8 პროცენტისა. ჯარმის გადახდა არ ათავისუფლებს ექსპორტიორს ვალდებულების შესრულებისაგან.

შენიშვნა: რესპუბლიკის კუთვნილი წილი შესაძლოა განისაზღვროს ცალკე (15%-ზე ნაკლები), თუ სატრანზიტო ექსპორტის მწარმოებელს რესპუბლიკაში მისაღებ ფასებში, შემოაქვს ხორბალი, პურის ფქვილი, შაქარი, კარაქი, რძის ფხენილი, მცენარეული ზეთი, ხორცი და ხორცის პროდუქტი, მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა.

სატრანზიტო ექსპორტის _____ მინისტრთა კაბინეტის მიერ
მწარმოებლის ხელმოწერა და ბეჭედი უფლებამოსილი იურიდიული პირი

საბაჟოს აღნიშვნა

პროდუქციის გატარების შესახებ

195 საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეთურნეობის საბუნძალ- ტრო ანგარიშგებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის რიგ სამინისტროებსა და უწყებებში ადგილი აქვს საანგარიშგებო დისციპლინის მკვეთრ გაუარესებას, რაც ზღუდავს სახალხო მეთურნეობის ცალკეული დარგების საფინანსო-სამეთურნეო საქმიანობის ოპერატიული მართვის რეალურ შესაძლებლობებს, ხელს უშლის საბუნძალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას, ქმნის სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების ხელსაყრელ პირობებს.

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროში, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეთურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში, აგრეთვე რიგ სხვა სამინისტროებსა და უწყებებში გაუმართლებლად ჭიანჭურდება საბუნძალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურების ფორმირება და მათი დაკომპლექტება სათანადო კადრებით; საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურაში აღნიშნული სამსახური საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ. ყოველივე ამის გამო ხდება ნაერთი ბუნძალტრული ანგარიშებისა და ბალანსების შედგენა და სათანადო ორგანოებში წარდგენა, ადგილი აქვს ანგარიშების დაგვიანებით წარდგენის ფაქტებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატების საბუნძალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურები ფუნქციონირებენ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად და არ შედიან სხვა რომელიმე ქვედანაყოფის შემადგენლობაში.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ცენტრალურ აპარატში დამტიკებული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში შექმნან საბუნძალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურები და დააკომპლექტონ ისინი კვალიფიციური სპეციალისტებით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ დაქვემდებარებული საწარმოებიდან, გაერთიანებებიდან და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული სხვა სამეთურნეო ერთეულებიდან საბუნძალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დროული მიღება, ნაერთი საბუნ-

ლალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენა საქმიანობის სფეროთა მიხედვით და მათი წარდგენა არსებული წესების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 12 ნოემბერი, № 851

196 რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციო ლიზენსა და ფორთოხლისათვის გადასახადის დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რესურსების ფასების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით და ბიუჯეტის დეფიციტის ნაწილობრივ შევსების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

დაწესდეს ბიუჯეტში გადასახადი ყველა ორგანიზაციისა და კერძო პირისათვის რესპუბლიკის გარეთ სარეალიზაციო ყოველი კილოგრამი ლიზენსისათვის 5 მანეთი და ფორთოხლისათვის 2 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 13 ნოემბერი, № 852

197 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხოეთის ქვე- ნაფიციონარი და სატრანსპორტო საშუალებათა გასვლი- სათვის ერთჯერადი საბაჟო განაკვეთების დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 აგვისტოს № 706 დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხოეთის ქვეყნებში მოქალაქეთა და სატრანსპორტო საშუალებათა გასვლისათვის ერთჯერადი საბაჟო განაკვეთების ნორმების დამტკიცების შემდეგ უცხოეთის ქვეყნებში მოქალაქეთა გასვლის მოთხოვნა გაიზარდა ქ. ფოთისა და რესპუბლიკის ტერიტორიის სხვა საბაჟოებში, სადაც ასეთი ერთჯერადი საბაჟო განაკვეთები არ არის დაწესებული.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 აგვისტოს № 706 დადგენილებით უცხოეთის ქვეყნებში გასვლისათვის დაწესებული ერთჯერადი საბაჟო განაკვეთები 1991 წლის 1 ნოემბრიდან შემოღებულ იქნეს ქ. ფოთისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სხვა საბაჟოებშიც.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის ქვეყნებში გასვლისათვის ერთჯერადი საბაჟო განაკვეთებიდან შემოსული თანხები მანეთებსა და უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხება თანაბარი ოდენობით შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სავალუტო ფონდში, შესაბამის ბიუჯეტებსა და სავალუტო ფონდებში.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკურ შემნახველ ბანკს ორგანიზაცია გაუწიოს ერთჯერადი საბაჟო განაკვეთების გადახდევინებას შემნახველი ბანკების მეშვეობით, მოაწიოს ამ მიზნით ყველა საბაჟოებთან შემნახველი ბანკის სადღეღამისო ფილიალები.

4. საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურმა ბანკმა გახსნას სპეციალური სავალუტო ანგარიში ერთჯერადი საბაჟო განაკვეთების თანხების ჩასარიცხად.

5. საქართველოს რესპუბლიკურმა საბაჟო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკონტროლონ საბაჟოებში გამსვლელ შემოსვლელ მოქალაქეთა და ტურისტთა მიერ ერთჯერადი საბაჟო განაკვეთების გადახდის მდგომარეობა.

6. კონტროლი ბიუჯეტსა და სავალუტო ფონდში თანხის სრულად და დროულად ჩარიცხვისადმი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

ჯ. კვარაცხელია

ქ. თბილისი, 1991 წ. 13 ნოემბერი, № 853

198 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუშაო დროის ერთი საათით აღრე დაწესების შესახებ

სამუშაო დროის ერთი საათით აღრე დაწესების შესახებ რესპუბლიკის მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით და დღის სინათლის მაქსიმალურად გამოყენების, აგრეთვე ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისა და ყაირათიანად ხარჯვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. 1991 წლის 18 ნოემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამუშაო დრო დაიწყოს ერთი საათით აღრე. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები თავიანთ სამუშაო განრიგში.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქ თბილისის მერიამ, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებმა განახორციელონ შესაბამისი ორგანიზატორული ღონისძიებანი ამ დადგენილების უცილობლად შესასრულებლად და სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში სამუშაო დროის დაწესების მცოცავი გრაფიკის დასაწერგავად.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საინფორმაციო სააგენტომ „საქართველო“, საქტელერადიოდეპარტამენტმა, სხვა საინფორმაციო საშუა-

ლებებმა ოპერატიულად გადასცენ ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების თაობაზე, ხელი შეუწყონ მის ფართო განმარტებასა და პროპაგანდას.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

ჯ. კვარაცხელია

ქ. თბილისი, 1991 წ. 14 ნოემბერი, № 855

199 საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების მე-3 და მე-7 მუხლების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ყოფილი სსრ კავშირის შემნახველი ბანკის, აგრომრეწველბანკის, მრეწველმშენბანკის, ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკების ბაზაზე (ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აქტივ-პასივები და სხვ.) შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო შემნახველი კომერციული ბანკი — საქმშენბანკი, საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკი — საქაგრომრეწველბანკი, საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული სამრეწველო-სამშენებლო ბანკი — საქმრეწველმშენბანკი და საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკი — საქბინსოცბანკი შესაბამისი უფლებამონაცვლეობით.

2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ერთი თვის ვადაში ვაატაროს რეგისტრაციაში საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკები მათი ახალი სტატუსის გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
ძოადგილე

ჯ. კვარაცხელია

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 ნოემბერი, № 856

200 „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამარეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 და 10 ოქტომბრის № 774 დადგინდებაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა თუ როგორ სრულდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 და 10 ოქტომბრის № 774 დადგინებები „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამარეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებით ღონისძიებათა შესახებ“ და მთელი რიგი დარღვევები გამოავლინა მათი მოთხოვნების დაცვის საქმეში.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის რეგულირების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამარეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილების მე-13 მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „დადგინდეს, რომ თბილისის, ფოთისა და ბათუმის საბაჟოების მიერ დადგენილი წესით შემოწმებული და დალუქული საგარეო ექსპორტის ტვირთი და საზღვარგარეთ საცხოვრებლად მიმავალ პირთა ბარჯი განმეორებით შემოწმებასა და კონტროლს არ ექვემდებარება. ამასთან, ზემოაღნიშნული საბაჟოების გავლით საზღვარგარეთ (სსრკ საზღვრის გადაკვეთით) მიმავალ პირთა და მათი ბარჯისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო შემოწმება და გაფორმება ხდება არსებული საბაჟო კანონმდებლობის და წესების შესაბამისად და წარმოებს მხოლოდ საბაჟო ორგანოთა მიერ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტს სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად მოახდინოს მათი ხელახალი შემოწმება.“

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 3 სექტემბრის № 22 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული იმ პროდუქციის ნუსხა, რომლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იკრძალება 1991 წლის 5 სექტემბრიდან 1992 წლის 1 იანვრამდე და მის სანაცვლოდ დამტკიცდეს ნუსხა, № 1 დანართის თანახმად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 10 ოქტომბრის № 774 დადგენილების № 1 დანართი „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით“ და მის სანაცვლოდ დამტკიცდეს ნუსხა, № 2 დანართის თანახმად.

4. შეტანილ იქნეს ცვლილებანი „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის ლიცენზიის გაცემის წესების შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების მე-4 მუხლის მეშვიდე აბზაცში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „ლიცენზიები მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებს, იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე სტამბური წესით, წინასწარი ნომრით. ლიცენზიის მიღება-გაცემა აღრიცხება ზონარაგაყრილ და დალუქულ ყუარნაღში. ლიცენზიის გაუქმების ან გაფუჭების ყოველი შემთხვევა დასტურდება სათანადო აქტით. ლიცენზიები ფორმდება ოთხ ეგზემპლარად. ლიცენზიის პირველი ეგზემპლარი ბარდება საკონტროლო პუნქტს, მეორე მიეცემა საწარმოს (გაერთიანებას), ორგანიზაციას ან მეწარმეს, მესამე ინახება ლიცენზიის გამცემ ორგანოში, ხოლო მეოთხე ეგზემპლარი — სატრანსპორტო საწარმოში.“

5. ამავე დროებითი დებულების მე-5 მუხლს დაემატოს:

— „ლიცენზიის გამცემი ორგანოები ვალდებული არიან დააწესონ კონტროლი და აწარმოონ სავალდებულო აღრიცხვა-ანგარიშგება, ბარტერული გაცვლის ხელშეკრულებებით (ლიცენზიის გამცემსა და მიმღებს შორის) გა-



თვალისწინებული პროდუქციის რესპუბლიკაში შემოსატანად დადგენილი ასორტიმენტისა და რაოდენობის მიხედვით“.

6. ამავე დროებითი დებულების მე-9 მუხლის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გატანის დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან, ასეთი დარღვევისათვის ჩამოერთმევათ სასურსათო და სამრეწველო საქონელი და იგი გადაეცემა სარეალიზაციოდ სავაჭრო-საშუამავლო და საწარმოო ფუნქციის მქონე საწარმოებს საკუთრების ფორმის მიუხედავად კომერციულ ფასეში (10 პროცენტის ფასდაკლებით). აღნიშნული პროდუქციის შემსყიდველები მის მფლობელებს აუნაზღაურებენ პროდუქციის ღირებულებას საპრეისკურანტო (ფიქსირებული) ფასებით, ხოლო ფასთა სხვაობიდან მიღებულ თანხას ჩარიცხავენ რესპუბლიკის ბიუჯეტში“.

7. დადგინდეს, რომ ალკოჰოლიან სასმელზე, ციტრუსებსა და ჩაიზე ლიცენზიები გაიცემა მხოლოდ ბარტერული გაცვლისათვის, რესპუბლიკაში საჭირო პროდუქციის შემოტანის სანაცვლოდ.

8. საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის ლიცენზიის ბლანკების დამზადება საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს შეკვეთით, რისთვისაც ამ უკანასკნელმა გამოუყოს მას შესაბამისი რაოდენობის ქაღალდი.

9. მატერიალური რესურსების სამინისტრომ უზრუნველყოს ლიცენზიის გამცემი ორგანოები საჭირო რაოდენობის ლიცენზიის ბლანკებით (სათანადო ანაზღაურებით) მათი განაცხადის საფუძველზე.

10. ნება დაერთოს ლიცენზიის გამცემ ორგანოებს ლიცენზიის არსებული ბლანკები გამოიყენონ მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე.

11. აღნიშნული დადგენილება რესპუბლიკაში სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 15 ნოემბრიდან.


საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

ჯ. კვარაცხელია

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 ნოემბერი, № 872



საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის
 № 872 დადგენილების დანართი № 1 .

ნ უ ს ხ ა

პროდუქციისა, რომლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ
 იკრძალება 1991 წლის 15 ნოემბრიდან 1992 წლის 1 იანვრამდე

რძე და რძის ნაწარმი

ცოცხალი პირთუყვი და ფრინველი, ხორცი და ხორცის ნაწარმი

აბრეშუმის პარკი

მატყლი

ბოსტნეულის კონსერვი

კარტოფილი

ხაჭვი

მარცვლეული, ბურღული და ბრინჯი

კალციანირებული სოდა

ფქვილი

მაკარონის ნაწარმი

მცენარეული ზეთი

შაქარი

თევზი და თევზის პროდუქტები

ბავშვთა კვების პროდუქტები

ცემენტი

ყველა სახის აგური

კრამიტი

წვრილი საკედლე ბლოკი

კირი

თაბაშირი

სეტყე (მორები, ზის სხვადასხვა მასალა, დაწნეხილი ფილები, პარკეტი)

ბაზალტის, მარმარილოსა და ტუფის ბლოკები

ტყავნედლეული

ნაფთობპროდუქტები

შენიშვნა: შემკვეთის (რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მყოფი) ნედლეუ-
 ლითა და მასალით დამზადებული პროდუქციის გარდა, რომლის გასატანად
 ლიცენზიას გასცემს მატერიალური რესურსების სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის

მინისტრთა კაბინეტის

კანცლარიის მმართველის

მოადგილე

ჯ. კვარაცხელია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის
 № 872 დადგენილების დანართი № 2

ნ უ ს ხ ა

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის
 ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლისა, რომლის გატანაც
 დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით

ალკოპოლიანი სასმელები
 ხილის წვევნები
 ხილის კომპოტები
 ჩაი
 მინერალური წყლები
 უალკოპოლო სასმელები
 საკონდიტრო ნაწარმი
 თამბაქოს ნედლეული
 თამბაქოს ნაწარმი
 ციტრუსები
 კომში
 მურაბები და ჯემები
 ფეიხოა
 ასკილი
 ხმელი ხილი
 თხილი და კაკალი
 ვაშლი
 ხილის კონცენტრატები
 ნაყენები (სპირტიანი და სხვა)
 სოიო
 მზესუმზირა
 ბოსტნეული
 მცენარეების თესვები
 მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ფუტკრის შხამი და სხვა)
 ბამბუკის შოლტები
 ეთერზეთოვანი პროდუქცია
 სამკურნალო მცენარეები
 მედიკამენტები
 კერამიკული ნაწარმი
 საყოფაცხოვრებო სამზარეულო მოწყობილობანი
 სანტექნიკური ნაწარმი
 კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები
 მეტლახის ფილები
 ლინოლეუმი

ბაზალტის, მარმარილოს, გრანიტის, ტუფის, ეკლარის და
 ნიუაროვანი ფილები
 რბილი სახურავი (რუბეროიდი, პერგამინი)
 პლასტმასის მილები
 ხარისხოვანი ქურქველი
 ლითონის ქურქველი
 ბაზალტის მინის ფილები
 დეკორაციული ღორღი
 კერნი
 ლითოგრაფიული ქვა
 დიატომიტი
 ტექნიკური აგატი
 ტექნიკური ნაწარმი პოლიეფირული ბეტონისაგან
 მარგანეცის მადანი
 სპილენძი
 კვარციტები
 დარიშხანი
 ფეხსაცმელი, ტანსაცმელი
 ტყვია, თუთია, ალუმინი
 მარმარილო, გრანიტი, ბაზალტი და სხვა
 ქვანახშირი
 მინერალური სასუქები
 კოშკური ამწეები
 ავეჯი
 ფაფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ნაწარმი
 ნართი და ძაფები, ქსოვილები, ტრიკოტაჟისა და ტყავის ნაწარმი
 ნოხები
 სათამაშოები
 ტელევიზორები
 პიანინო
 მაცივრები
 გაზქურები
 ელექტროსაქონელი
 საყოფაცხოვრებო ჭიმის პროდუქცია
 სარეცხი საშუალებები
 ლოჯინის და სუფრის თეთრეული
 სასკოლო-საკანცელარიო საქონელი
 სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცირე მექანიზაციის საშუალებები
 რკინაბეტონის კონსტრუქციები
 ლითონის ნაირსახეობა (ლურსმანი, ფურცლოვანი ფოლადი, ფოლადის
 სახურავი, არმატურა, მილები, კუთხოვანა)



აზბესტოშიფერი

ავტომობილის საბურავები და რეზინის ავტოსათადარიგო ნაწილები.

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

პ. კვარაცხელია

**201 ინფორმაციის დარღვი რესპუბლიკური საუწყებთაშორის-
სო საკოორდინაციო საბჭოს დაარსების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ინფორმირების პროცესის მართვის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს წინადადება ინფორმაციის დარღვი რესპუბლიკური საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დაარსების შესახებ.

2. საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებად ჩაითვალოს:

— ინფორმაციის დარღვი კონცეპტუალური, ნორმატიული და იურიდიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების პროექტების შემუშავების, განხილვისა და რეალიზაციის თაობაზე რეკომენდაციების მომზადება;

— საზოგადოების ინფორმაციის საპარლამენტო და სამთავრობო დონეზე მხარდაჭერის შექანიშემების შემუშავება;

— ინფორმაციის დარღვი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესასრულებლად საბიუჯეტო ასიგნებათა განაწილების თაობაზე წინადადებათა განხილვა.

3. დამტკიცდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი ინფორმაციის დარღვი რესპუბლიკური საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თანდართული ორგანიზაციული სტრუქტურა და ხელმძღვანელობის პერსონალური შემადგენლობა.

4. დაევალოთ საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებსა და სექციათა ხელმძღვანელებს ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ საკოორდინაციო საბჭოს სექციების დებულებანი, პერსონალური შემადგენლობა და 1991-1992 წლების სამუშაო პროგრამები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

პ. კვარაცხელია

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის
№ 875 დადგენილებით

**ინფორმატიზაციის დარგში რესპუბლიკური საუწყებთათშორისო
საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზაციული**

ს ტ რ უ მ ტ შ რ ა

საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა
ინფორმატიზაციის ნორმატიული და საკანონმდებლო პრობლემების
სექცია
ეკონომიკისა და მართვაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების
გამოყენების სექცია
ინფორმატიკის ტექნიკურ საშუალებათა განვითარების სექცია
ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაციის
სექცია
სწავლებისა და კადრების მომზადების პროცესებში ინფორმაციული
ტექნოლოგიების გამოყენების სექცია
პროგრამულ საშუალებათა განვითარების სექცია.

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის
№ 875 დადგენილებით

**ინფორმაციის დარგში რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო
საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა**

- ბ. გუგუშვილი — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი (საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი);
- ი. ყორღანია — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი (საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე);
- ი. ფრანგიშვილი — აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე);
- ვ. აბდუშელიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი;
- ფ. ტყეშელაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი;
- ვ. ნაკაიძე — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ი. გოგოძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (ინფორმაციის ნორმატიული და საკანონმდებლო პრობლემების სექციის ხელმძღვანელი);
- ო. კაკაურიძე — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და წინასთანა საშინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი (ეკონომიკისა და მართვაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სექციის ხელმძღვანელი);
- მ. სალუქვაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი;
- გ. ჩოგოვაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი;
- მ. წულაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მო-

- ადგილზე (პროგრამულ საშუალებათა განვითარების სექციის ხელმძღვანელი);
- დ. ცისკარიძე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე;
- ვ. ავალიანი — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ გენერალური დირექტორი (ინფორმატიკის ტექნიკურ საშუალებათა განვითარების სექციის ხელმძღვანელი);
- ნ. კახიშვილი — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ გენერალური დირექტორი;
- ლ. გიგინეიშვილი — ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის დირექტორი (ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაციის სექციის ხელმძღვანელი);
- გ. გედევანიშვილი — საქართველოს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
- გ. გვარამია — საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სამეცნიერო-სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკის“ გენერალური დირექტორი (სწავლებისა და კადრების მომზადების პროცესებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სექციის ხელმძღვანელი);
- ი. ფაილოძე — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს დარგობრივი გამოთვლითი ცენტრის დირექტორი;
- ზ. მათიკაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბუკოს კონსულტანტი;
- ა. აბრამიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის საერთო განყოფილების სექტორის გამგე;
- კ. დოკვაძე — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.



202 შემეცნებით-კომერციული თამაშის „ტკბილქართული სიტყვის“ ჩატარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედის“ წინადადება და ნება დაერთოს მას ჩატაროს შემეცნებით-კომერციული თამაში „ტკბილქართული სიტყვა“ (ავტორი ნოდარ მოსაშვილი).

2. დამტკიცდეს შემეცნებით-კომერციული თამაშის ჩატარების თანდართული დებულება.

3. შემეცნებით-კომერციული თამაშის ჩატარების წესისა და პირობების დაცვის და ამ დადგენილების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა და კონტროლი დაეკისროთ ასოციაცია „შემოქმედს“ და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს.

4. ასოციაცია „შემოქმედს“ შეეცნებინოს შემეცნებით-კომერციული თამაშის „ტკბილქართული სიტყვის“ ჩატარებისათვის გაეხსნას სპეციალური ანგარიში ქალაქ თბილისის ვაკის რაიონის საქბინსოცბანკის განყოფილებაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ხელი შეუწყოს შემეცნებით-კომერციული თამაშის ჩატარებას.

მოგებათა განაღდებას მოხმარდეს თამაშის ანგარიშზე შემოსული თანხების (ამონაგების) 50 პროცენტი.

ამონაგების მეორე ნახევრის 35 პროცენტი, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც წარიმართება საორგანიზაციო კომიტეტისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ნორმატიულ ფონდსა და მის შესაბამის ანაზღაურებზე, რეკლამისათვის, ტირაჟის ჩატარების დაცვის ღონისძიებებისათვის, შენობის არენდისათვის, სხვა ორგანიზაციათა მომსახურებისა თუ სხვა წვრილმანი ხარჯებისათვის, ამჟამად არსებული წესის შესაბამისად ჩაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი სახსრები განაწილდეს თანდართული დებულების მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

დამტკიცებულია
 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის
 № 876 დადგენილებით

შემეცნებითი კომერციული თამაშის „ტკბილქართული სიტყვის“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. შემეცნებით-კომერციული თამაშის მიზნები

ყოველთვის, განსაკუთრებით კი საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას უდავოდ წარმოადგენს რესპუბლიკის მასშტაბით ქართული ენის პროპაგანდა დახვეწილი ხერხებით. მიზანია ორია, პირველი: ქართულენოვანმა მოსახლეობამ კიდევ უფრო გაიმდიდროს საკუთარი ცოდნა, სიტყვათა მარაგი, აიმაღლოს მეტყველების კულტურა; მეორე: არაქართულენოვანი მოსახლეობა ნებაყოფლობით დაინტერესდეს ქართული ენის შესწავლით.

მოსახლეობისათვის შემეცნებით-კომერციული თამაშის ფორმის შეთავაზება საშუალებას იძლევა დაეინტერესოს ადამიანი მატერიალური მოგებით, ხოლო რამდენადაც გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იქნება ქართული სიტყვის ცოდნით, უკვე სპორტული ინტერესი უბიძგებს ადამიანს თამაშში ჩაბმისა და, შესაბამისად ქართული სიტყვის, მისი აგებულების, შედგენილობისა და ოპტიმალური ვარიანტების გამოძენის შესახებ ფიქრისაკენ.

2. პირობითი ცნებები

2.1. ფრაგმენტი — ასო, ან ასოთა მიმდევრობა.

2.2. ვარიანტი — სიტყვის ფრაგმენტი ისეთ სიტყვასთან ერთად, რომლიდანაც ეს ფრაგმენტი-მიღება ერთი ან რამდენიმე ასოს ამოღების შედეგად ან რომელიც ემთხვევა ამ ფრაგმენტს.

2.3. მართებული სიტყვა — სიტყვა, რომელიც გვხვდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ა. ჩიქობავას რედაქციით) ანბანურ რიგში და ამასთან:

ა) ბურებრივ ფორმაში არ შეიცავს დეფისს (მაგალითად, სიტყვები: „დედ-მამა“, „დედიან-ბუღიანად“ და ა. შ. არ იქნება მართებული, რადგან შეიცავს დეფისს, მაგრამ სიტყვა „სდევეს“ იქნება მართებული, თუმცა აღნიშნულ ლექსიკონში ანბანურ რიგში იგი წერია ფორმით: „ს-დევე-ს“).

ბ) წარმოადგენს დასრულებულ სიტყვას და არა სიტყვის ნაწილს (მაგ. „უენ“, „-თან“, „თანა-“, „-თანა“ და ა. შ. არ იქნება მართებული სიტყვები).

გ) მას არ უნდა ჰქონდეს მიწერილი „(მოძვ.)“ — რაც ნიშნავს მოძველებულს (მაგალითად, არ არის მართებული სიტყვა „ელსმენი“).

2.4. მართებული ვარიანტი — ფრაგმენტი მის შემცველ მართებულ სიტყვასთან ერთად.

ცველი გზავნილები). ჯერ ყველა მიღებული გზავნილი დაჯგუფდება ფრაგმენტების მიხედვით და განისაზღვრება ის ფრაგმენტი, რომელზეც მოსულია ყველაზე ნაკლები გზავნილი (ანუ ყველაზე იშვიათი ფრაგმენტი). თუ ორ ან მეტ ფრაგმენტზე შემოვიდა ერთი და იმავე რაოდენობის გზავნილი, არჩეული იქნება ის ფრაგმენტი, რომელშიც მიმდინარე ეტაპზე დამატებულ ასოს ანბანში უფრო დიდი ნომერი აქვს (ანუ უფრო ახლოსაა ანბანის ბოლოსთან). თუ ამის შემდეგაც ერთზე მეტი ფრაგმენტი დარჩა, უპირატესობა იმას მიეცემა, სადაც ასო დამატებულია უფრო მარცხნივ.

ამის შემდეგ არჩეული ფრაგმენტის შემცველი გზავნილებიდან ხდება მართებული სიტყვის შემცველი გზავნილების ამორჩევა (დანარჩენი გზავნილები კი უქმდება). თუ მოიძებნა ერთი ამგვარი გზავნილი მაინც (ე. ი. მართებული ვარიანტის შემცველი), მაშინ ეს ფრაგმენტი ცხადდება გამარჯვებულად (წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფრაგმენტი მთლიანად უქმდება და ფრაგმენტების განხილვა იწყება თავიდან), ხოლო ისინი, ვინც ვადების დაცვით გამოაგზავნეს გამარჯვებული ფრაგმენტის შემცველი მართებული ვარიანტი, ცხადებიან ეტაპზე გამარჯვებულად და მიიღებენ იმდენ ქულას, რა თანხაც გადმორიცხეს გამარჯვებული ფრაგმენტის შემცველი გზავნილით (მაგ: თუ გადმორიცხეს 10 მან. მიიღებენ 10 ქულას, 127 მან. — 127 ქულას და ა. შ.).

ამგვარად, იმისათვის, რომ ეტაპზე განისაზღვროს გამარჯვებული ვარიანტი, საჭიროა, რომ საორგანიზაციო კომიტეტში დათქმულ ვადაში შემოვიდეს ორი ან მეტი განსხვავებული ფრაგმენტის განაცხადი (რათა არსებობდეს არჩევის საშუალება) და იმ ფრაგმენტის განაცხადებში, რომლებიც რაოდენობით ნაკლებია, მოიძებნოს ერთი მართებული ვარიანტი მაინც.

9. **თამაშის დასასრული.** სიტყვის გათამაშება მთავრდება, როდესაც შესრულდება ერთ-ერთი შემდეგ პირობათაგან:

ა) გამარჯვებული ფრაგმენტი წარმოადგენს მართებულ სიტყვას.

ბ) არ შესრულდა წინა პუნქტის ბოლო აბზაცში აღნიშნული პირობა გამარჯვებული ვარიანტის გამოსავლენად.

შენიშვნა: თუ აღნიშნული პირობა შესრულდება მოგვიანებით ახალი განცხადების მოსვლასთან დაკავშირებით, საორგანიზაციო კომიტეტი ზემოთ აღნიშნული წესით გამოავლენს გამარჯვებულ ვარიანტს და დაარიცხავს ქულებს, ანუ არა სიტყვის გათამაშება აღარ გაგრძელდება.

10. **ამონებების განაწილება.** ამონაგები ნაწილდება შემდეგნაირად:

— მოგვხატა განადიდების მოხმარება თამაშის ანგარიშზე შემოსული თანხის (ამონაგების) 50 პროცენტი;

— ამონაგების მეორე ნახევრიდან იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც მიიმართება საორგანიზაციო კომიტეტისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ნორმატიულ ფონდში და მის შესაბამის ანარიცხებზე, რეკლამაზე, ტირაჟის ჩატარების დაცვის ღონისძიებებზე, შენობის არენდაზე, სხვა ორგანიზაციების მომსახურების ხარჯებზე და სხვა წვრილმან ხარჯებზე, 35 პროცენტი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ამჟამად არსებული წესის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი სახსრები განაწილდება საავტორო ჰონორარზე (ამონაგების 5 პროცენტი) და მოქმედი კანონმდებლობის



თანხმად ასოციაცია „შემოქმედის“ ინტელექტუალური და სხვა საქმიანობის განვითარების ღონისძიებებზე.

11. **საპრიზო ფონდის განაწილება.** საპრიზო ფონდი ნაწილდება სხვადასხვა ეტაპზე გამარჯვებულ პირთა შორის შემდეგი წესით:

ა) ჯერ გამარჯვებული პირის ქულები მრავლდება გამოსახულებაზე: $2n-1$, სადაც n არის მოცემულ გათამაშებაში იმ ეტაპების რაოდენობა, რომლებშიც გაიმარჯვა პიროვნებამ. მაგალითად, თუ პირმა გათამაშების მანძილზე დააგროვა 200 ქულა, მაშინ მას საბოლოოდ ექნება ქულათა შემდეგი რაოდენობა:

რამდენ ეტაპზე გაიმარჯვა (n)	2n-1	ქულათა საბოლოო რაოდენობა
1	1	$200 \times 1 = 200$
2	2	$200 \times 2 = 400$
3	4	$200 \times 4 = 800$
4	8	$200 \times 8 = 1600$ და ა. შ.

ბ) საპრიზო ფონდში არსებული თანხა გაიყოფა გათამაშების განმავლობაში ყველას მიერ დაგროვილ ქულათა რაოდენობაზე, რითაც დადგინდება 1 ქულაზე მოსული თანხა.

გ) ეს თანხა თითოეული პირისათვის გამრავლდება მის მიერ დაგროვილ ქულებზე, რითაც განისაზღვრება ცალკეული პირისათვის განკუთვნილი თანხა. აღნიშნული თანხა არ იბეგრება.

დ) მოგება მოთამაშემ უნდა მიიღოს პირადად თამაშის საორგანიზაციო კომიტეტში.

ე) ცალკეული პირისათვის გასაცემი თანხიდან გაიცემა მხოლოდ მანეთების შესაბამისი რაოდენობა, ხოლო კაპიკების შესაბამისი თანხა გადაირიცხება მომავალი გათამაშების საპრიზო ფონდში.

12. **თამაშის მსვლელობის გამოქვეყნება.** თამაშის მსვლელობა შუქდება გაზეთ „ხე ცხოვრებისას“ (ან სხვა გაზეთების) ფურცლებზე.

13. **პრეტენზიები.** საორგანიზაციო კომიტეტი პრეტენზიებს განსახილველად მიიღებს ეტაპის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში.

14. **მოგების მიღების ვადები.** გამარჯვებულმა პირმა მოგების მისაღებად საორგანიზაციო კომიტეტს უნდა მიმართოს გათამაშების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან სამი თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დარჩენილი თანხები გამარჯვებულ პირზე აღარ გაიცემა და გადაირიცხება მომდევნო გათამაშების საპრიზო ფონდში.

შენიშვნა: საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს დახვეწოს თამაშის წესები ყოველი შემდგომი სიტყვის გათამაშებისათვის.

203 ფეროშენადნობთა ფასების რეგულირების შესახებ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციის რეალიზაციისას წარმოშობილი გართულებების გამო და ქარხნის საწრმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წინადადება და, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს მას 1991 წლის დამლევამდე ფეროშენადნობთა რეალიზაცია მოახდინოს სახელმწიფო რეგულირებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 8 ივლისის № 553 დადგენილებით დამტკიცებული საბითუმო ფასები ფეროშენადნობებზე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 ნოემბერი, № 877

204 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 აპრილის № 706 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხოეთის ქვეყნებში მოქალაქეთა და სატრანსპორტო საშუალებათა გასვლისათვის ერთჯერადი გამოსაღების დაწესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 აგვისტოს № 706 დადგენილების 1-ლი პუნქტი და დაემატოს მას შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„დაბეგვრის აღნიშნული წესი არ ვრცელდება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ დაკომპლექტებულ ტურისტულ ჯგუფებზე“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 ნოემბერი, № 878

205 რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციო ხურმისათვის (კარალიოკი) გადასახადის დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი სურსათისა და სასაფლო-სამეურნეო დანიშნულების რესურსების ფასების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით და ბიუჯეტის დეფიციტის ნაწილობრივ შევსების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

დაწესდეს ბიუჯეტში გადასახადი ყველა ორგანიზაციისა და კერძო პირთათვის რესპუბლიკის გარეთ სარეალიზაციო ყოველი კილოგრამი ხურმისათვის (კარალიოკი) 1 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. ზუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 ნოემბერი, № 882

206 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის აქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საშოკმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 26 აგვისტოს კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებები, თანდართული ნუსხის მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. ზუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 22 ნოემბერი, № 888

დამტკიცებულია
 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 22 ნოემბრის
 № 888 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძალადაქარგული გადაწყვეტილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 20 მაისის № 654 დადგენილება „დადგენილებათა პროექტების მომზადებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს სხდომებზე მათი განხილვის მოწესრიგების შესახებ“.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 ივნისის № 323 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მუშაობის მოწყობის შესახებ“.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 სექტემბრის № 700 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მრჩეველთა თანამდებობის დაწესების შესახებ“.
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 აპრილის № 261 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შექმნის შესახებ“.
5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 27 აპრილის № 310 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტრუქტურისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 27 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ“.
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 21 მარტის № 226 დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

207 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენი- ლებათა და სავრთაზორისო ხელშეკრულებათა გამოკვეყნების წინის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აგვისტოს კანონის, 31-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე სხვა დადგენილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, გამოქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებულში, რომელსაც გამოსცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოქვეყნდეს აგრეთვე ბეჭდვის სხვა ორგანოებში ან საჯაროდ იქნეს გამოცხადებული ტელევიზიით, რადიოთი ან გადიცეს ტელეგრაფით, დაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციებს.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან, თუ ამ აქტებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულებები ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებულში არ გამოქვეყნდება.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, რომლებიც არ არის გამოქვეყნებული „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებულში“ ან გაზეთებში, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულებანი შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ნაბეჭდ გამოცემებში სათანადო ორგანიზაციების წარდგენით, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის ნებართვით.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის იმ დადგენილებათა დედნებზე, რომლებიც არ გამოქვეყნდება კრებულსა და გაზეთებში, გაუკეთდება წარწერა „არ გამოქვეყნდება“.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, ამ დადგენილების შესაბამისად მათი გამოქვეყნების დამოუკიდებლად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარია დაუგზავნის მათი მიღებისთანავე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალურ ორგანოებს, საქართველოს

რესპუბლიკის პროკურატურას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს, რომელთა სიას დაამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარია.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელით დადებული და საქართველოს რესპუბლიკისათვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ; ხელშეკრულებები, დადებული საქართველოს რესპუბლიკის სახელით, რომლებიც არ საჭიროებენ რატიფიკაციას, და ხელშეკრულებები, რომლებთანაც შეერთება ან რომელთა მიღება განხორციელდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინით გამოქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებულში.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ავთენტიკური ტექსტები შედგენილია უცხო ენაზე, ქვეყნდება ერთ-ერთ ამ ენაზე, შესატყვის ენაზე ქართული ოფიციალური თარგმანით.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მარტის № 222 დადგენილება „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

208 საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მმართველობის ორგანიზაციების მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემხინდი ერთობლივი საწარმოების, მათი ფილიალების რეგისტრაციის და დაბეგვრის წესის შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის მიზანმიმართული კონცენტრირება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირეული საკითხების ანალიზსა და გადაწყვეტაზე, მინისტრთა კაბინეტის აპარატი ივანიტვირთოს სამინისტროების, უწყებების, ცალკეული ორგანიზაციების უშუალო კომპეტენციის საკითხების განხილვისა და დამუშავებისაგან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოებისა და მათი ფილიალების შექმნისათვის საჭირო დამფუძნებელი საბუთების განსახილველად მიღება, დაინტერესებული სამინისტროებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით მათი შესწავლა, რეგისტრაციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი საბუთის გაცემა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს.

2. დაწესდეს, რომ:

— ყოველი თვის დამთავრებისას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო წარმოუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოების და მათი ფილიალების შესახებ;

— რეგისტრაციაში გასატარებელი ერთობლივი საწარმოების, აგრეთვე მათი ფილიალების საქართველოს მხრიდან მონაწილენი იხდიან 5.000 მანეთს, ხოლო უცხოეთის მხრიდან 5.000 აშშ-ს დოლარს;

— დამფუძნებელ საბუთებში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად ორივე მხარე იხდის რეგისტრაციაში გატარებისათვის დაწესებული თანხის 50%-ს. აღნიშნული თანხები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

ერთობლივი საწარმოები, რომელთა დამფუძნებელი საბუთები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შეტანილია მოცემული დადგენილების მიღებამდე, სარეგისტრაციო გადასახადს იხდიან აქამდე არსებული წესით.

3. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ ერთობლივი საწარმოები ყოველწლიურად დასაბეგრი მოგებიდან ბიუჯეტში იხდიან 30 პროცენტს დღიდან მოგებისა, თუ უცხოელი პირებისა და მოქალაქეების წილი საწესდებო ფონდში აღემატება 30 პროცენტს. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს წილი შეადგენს 30 პროცენტს ან მასზე ნაკლებს, მაშინ ერთობლივი საწარმოები დაიბეგრება საერთო

წესით, ანუ მოგების 35 პროცენტის ოდენობით.

წინადადება დაბეგვრის მოცემული წესის შესახებ შეტანილ იქნეს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის საგარეო ურთიერთობის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველების აპარატს დააწესოს კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი საწარმოების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 12 მარტის № 163 დადგენილება „საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციის წესის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ბ. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 28 ნოემბერი, № 900

209 ქ. თბილისში გერმანიის ფირმა „ანტონ ოლერტ“-ის წარმოებად- გენლოვის გახსნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის შორის პარტნიორული საფინანსო-კომერციული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაქმავიფილდეს გერმანიის ფირმა „ანტონ ოლერტ“-ისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თხოვნა და ნება დაერთოს აღნიშნულ ფირმას გახსნას ქ. თბილისში თავისი წარმომადგენლობა.

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მოახდინოს გერმანიის ფირმა „ანტონ ოლერტ“-ის წარმომადგენლობის აკრედიტაცია და შეუქმნას მას ყველა პირობა ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 29 ნოემბერი, № 903

210 1991 წლის ბოლომდე და 1992 წლის პირველ კვარტალში მუ- შაობის სავსებით რეზერვის დაფინანსების შესახებ

სათბობუნერგეტიკული რესურსებით მომარაგებაში შექმნილი მწვავე დეფიციტის შესამსუბუქებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაუწესდეთ 1991 წლის 9 დეკემბრიდან სამუშაო საათების ხანგრძლივობა:

— სავაჭრო კოოპერატივებს, კომერციულ მღაზიებსა და ინდივიდუალური საქმიანობის ობიექტებს — 10-დან 15 საათამდე;

— ერთცელიანი გრაფიკით მომუშავე წარმოება-დაწესებულებებსა და მწარმოებელ კოოპერატივებს — 8-დან 15 საათამდე (შესვენების გარეშე);

— სახელმწიფო ვაჭრობის ობიექტებს (სასურსათოს გარდა) — 10-დან 17 საათამდე;

— სასურსათო ვაჭრობის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ობიექტებს — ადგილობრივი პრეფექტურებისა და ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად;

— სახელმწიფო, კომერციულ და საკაბელო ტელევიზიას — 18-დან 23 საათამდე;

2. ორ ცვლად მომუშავე საწარმოებმა სამუშაო დროის შემქვიდროების მიზნით განახორციელონ საწარმოო დატვირთვებისა და მოწყობილობა-დანადგარების მუშაობის ინტენსიფიცირება ერთცვლიანი სამუშაო დროის დარგლებში.

3. უწყვეტი ციკლით მომუშავე სამრეწველო საწარმოებმა ცვლებისა და სამუშაო საათების ხანგრძლივობა განსაზღვრონ მათთვის ელექტროენერჯის მოხმარების დაწესებული ლიმიტების შესაბამისად.

4. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ (რ. ვაშაკიძე) მოაწესრიგოს მატარებლების მოძრაობის განრიგი მისი ფაქტობრივი დატვირთვის გათვალისწინებით (შესაძლებლობის მიხედვით შეკვეცოს მარშრუტების რაოდენობა).

5. აიკრძალოს ელექტროენერჯის გამოყენება:

— სახელმწიფო და ინდივიდუალურ სათბურებში — დასხივებისა და დათბუნების მიზნით;

— ინდივიდუალური საქმიანობის ობიექტებზე (თონე, სამწვადე და სხვ.)

— მისი ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენების მიზნით.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ გადაწყვეტილებამდე აიკრძალოს ქვია დამმუშაებელი კოოპერაციული და კერძო საწარმოებში მუშაობა.

7. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ (გ. აბსანძე), საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერჯეტიკის სამინისტრომ (გ. გოგავა) ერთი კვირის ვადაში დაამთავრონ ელექტროენერჯის დოფერენცირებული ტარიფების შედგენა და წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

8. საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერჯეტიკის სამინისტრომ (გ. გოგავა):

— ელექტროენერჯის გამომუშაებისა და მოხმარების ფაქტობრივი ბალანსის გათვალისწინებით ათი დღის ვადაში გაანალიზოს ელექტროენერჯის მოხმარების შესწუღვის დამატებითი გრაფიკი;

— განახორციელოს მკაცრი კონტროლი ელექტროენერჯის მოხმარების სფეროში, განსაკუთრებით არამიზნობრივი და უყაირათო ხარჯვის აღსაკვეთად.

9. სასიცოცხლო მნიშვნელობისა და განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების (ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და სხვ.) ხელმძღვანელებმა ავტონომიური ელექტროკვების განსახორციელებლად გამოიწვიონ საშუალებანი დიზელ-გენერატორების შესაძენად.

10. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ (გ. აბდუშელიშვილი), საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ (გ. მირიანაშვილი), ქალაქ თბილისის მერიაში (თ. ვაშაკიძე), ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში და მოსახლეობაში ელექტროენერჯის დაზოგვის ფართო პროპაგანდას.

11. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართოდ გააშუქონ ამ დადგენილებებს არსი და მნიშვნელობა.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 2 ნოემბრის № 850 დადგენილების მე-6 პუნქტი.

13. დადგენილება მოქმედებს დღიდან გამოქვეყნებისა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამეციალურ გადაწყვეტილებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. ზუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 2 დეკემბერი, № 904

211 საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დრო-გითი დეპულეების, სტრუქტურისა და მისი დაქვემდებარების ორგანიზაციების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თანდართული დროებითი დებულება, სტრუქტურა და მისი დაქვემდებარების ორგანიზაციების წესსა.

2. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 155 ერთეულით (შენიშვნის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე) 1.553.0 ათასი მანეთი წლიური შესანახი ხარჯებით, მათ შორის 943,3 ათასი მანეთი — შრომის ანაზღაურების ფონდით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 ივლისის № 343 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო განათლების მართვის ორგანიზაციისა და სტრუქტურის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. ზუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 6 დეკემბერი, № 913



საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დროებითი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“), რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, არის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის განათლების სისტემას, ახორციელებს ამ სფეროში კორდინაციასა და კონტროლს, არის იურიდიული პირი.

სამინისტროს აქვს ბუჯედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია სამინისტროს სახელწოდება.

სამინისტრო პასუხს აგებს მმართველობის დაკისრებულ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის.

2. სამინისტრო მისთვის დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მის სისტემაში შემავალი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის.

3. სამინისტროს სიატემა მოიცავს განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების მართვის ადგილობრივ ორგანოებს, მათი დაქვემდებარების და სამინისტროს უშუალო დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

4. სამინისტროს ამოცანაა:

რესპუბლიკის განათლების კანონის შესაბამისად და უწყვეტი განათლების ეროვნული კონცეფციის საფუძველზე უზრუნველყოს:

— რესპუბლიკაში განათლების დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება და გატარება, განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება და დავეგმვა;

— ყოველმხრივი დემოკრატიზაციის საფუძველზე რესპუბლიკაში უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მოქალაქეთა განათლების უფლება განათლების ყველა საფეხურზე, სკოლამდელი დაწესებულებებიდან კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტების ჩათვლით;

— განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება-დამტკიცება და მათში საქირო ცვლილებების შეტანა;

— სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შინაარსის სრულყოფისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება განათლების ყველა საფეხურზე, მის სისტემაში მომუშავე სპეციალისტთა პროფესიული მომზადება და გადამზადება;

— პედაგოგიური კადრების რაციონალური გამოყენება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ორგანიზაცია;

— სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;

— განათლებისა და მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში დადგენილი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

— სამინისტროს დაქვემდებარებული სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

5. სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით.

6. სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებებს, პროექტებს განათლების სისტემის შემდგომი განვითარების, მისი სრულყოფის, პერსპექტიული გეგმების თაობაზე;

— კოორდინაციას უწევს განათლების სფეროში რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას;

— დადგენილი წესით განსაზღვრავს იმ პროფესიათა და სპეციალობათა ნუსხას, რომლის შესაბამისად ხორციელდება სპეციალისტების მომზადება და გადამზადება განათლების სისტემის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ, უმაღლეს სასწავლებლებში, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ქსელში;

— რესპუბლიკის მთავრობაში, დადგენილი წესით, შეაქვს წინადადებანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების ტერიტორიული ქვედანაყოფების გახსნისა და გაუქმების შესახებ;

— ღწნის და აუქმებს სკოლამდელ, ინტერნატულ, სკოლის გარეშე დაწესებულებებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, მცირე საწარმოებს, ახდენს მათ რეორგანიზაციას;

— ატარებს მის დაქვემდებარებაში არსებული სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა სახელმწიფო ატესტაციას;

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ლიცენზიებს გაცემს არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებზე;

— ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ტიპურ (სანიმუშო) და დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დებულებებს თვის სასწავლებლებს წარდგინებით;

— უმაღლესი სასწავლებლების საბჭოსთან და პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად შეაჩვენებს და რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს კანდიდატურებს უმაღლესი სასწავლებლების რექტორების თანამდებობებზე დასანიშნავად;

— ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს დაქვემდებარების უმაღლესი სასწავლებლების პრორექტორებს (რექტორების წარდგინებით), ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებს (პრეფექტებთან შეთანხმებით), საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორებს, პროფესორულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორებს (გამგეებს), პრეფექტებთან შეთანხმებით, ინტერნატული და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების (საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებების წარდგინებით), რესპუბლიკის ბიუჯეტზე არსებული ცენტრალიზებული ბუღალტრებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მთავარ ბუღალტრებს, უშუალოდ სამინისტროს დაქვემდებარების დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესებს;

ამტკიცებს ძირითად სასწავლო დისციპლინებში სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოებს;

— ამოწმებს მის დაქვემდებარებაში შემავალ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების, განათლების მართვის ორგანოების საქმიანობას, სწავლების ხარისხს, პროფესორ-მასწავლებელთა, პედაგოგთა და სახალხო მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებსა და გადამზადებს დონი. ახდენს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის სახელმწიფო შეფასებას;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს თავისი სისტემის სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის გეგმებს, სამინისტროს გრიფს აკუთვნებს სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს;

— გამოსცემს სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდურ ჟურნალებსა და განათლების პროფილის გაზეთებს რესპუბლიკაში რეგისტრაციის დადგენილი წესის შესაბამისად;

— კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, ამ სფეროში დასახული გეგმების შესრულებას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას;

— წარმართავს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მაღალკვალი-ფიციური კადრების მომზადებას დაქვემდებარებულ უმაღლეს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ასპირანტურაში და დოქტორანტურაში;

— ამუშავებს მის დაქვემდებარებაში შემავალი სასწავლო დაწესებულებების შენობების ტიპურ და ინდივიდუალურ პროექტებს, ასრულებს დაქვემდებარებული სასწავლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გენერალური დამკვეთის ფუნქციას, ამარაგებს სასწავლო დაწესებულებებს სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობებით და სხვა მატერიალური რესურსებით;

— დადგენილი წესით აფინანსებს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე არსებულ თავისი დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელით, სკოლისგარეშე და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობს მათ ფინანსურ საქმიანობას;

— შრომკავშირებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს მის დაქვემდებარებაში შემავალი სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებების თანამშრომელთა და სტუდენტთა საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

— არსებული წესის საფუძველზე აჯილდოებს მოწინავე მუშაკებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს, სახელმწიფო ჯილდოებზე წარადგენს სისტემის მოწინავე მუშაკებს;

— დადგენილი წესით ახორციელებს განათლების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთაშორისო კავშირებს.

7. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით. მინისტრის წარდგინებით მის მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. განათლების მინისტრს ჰყავს ოთხი მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი:

— პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის;

— ანაწილებს ფუნქციებს მინისტრის მოადგილეთა შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

— განსაზღვრავს მოადგილეთა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა უფლებებსა და მოვალეობებს;

— ამტკიცებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამუშაო განრიგს, აქრებთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს.

— გამოსცემს ბრძანებებს და ამტკიცებს ინსტრუქციებს;

— უფლებამოსილია სამინისტროს ნომენკლატურაში შემავალ თანამდებობებზე მომუშავე პირებს დაადოს დისციპლინური სასჯელი.

8. სამინისტროში მინისტრის თვემჯდომარეობით იქმნება კოლეგია 15 წევრის შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას, მინისტრის

წარდგინებით, ამტკიცებს და შეაქვს მასში ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

სამინისტროს კოლეგია იხილავს განათლების განვითარების ძირითად საკითხებს, განათლების მართვის ორგანოების, სისტემის დაწესებულებების მუშაობის პრობლემებს, კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს. დისციპლინური სასჯელის დადების და სამუშაოზე აღდგენის საკითხებს. ისმენს განათლების სისტემაში შემავალი დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება მინისტრის ბრძანებით. მინისტრისა და კოლეგიის წევრთა უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან, წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. კოლეგიის წევრები უფლებამოსილი არიან თავიანთი მოსაზრებანი უთანხმოების შესახებ აცნობონ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

9. სამინისტროს სტრუქტურას, დებულებას და მუშაკთა ზღვრულ რაოდენობას, მინისტრის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

212 საბიუჯეტო დაწესებულებაში სახელმწიფო სახსრების მომ- ხირნეობით და მიზნობრივად გამოყენების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დეველოთ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტს, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტს, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, ქალაქ თბილისის მერიას, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებს, ყველა საბიუჯეტო დაწესებულებას:

— განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საბიუჯეტო ასიგნებათა მიზნობრივი და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, არ დაუშვან ამ სახსრების არადანიშნულებით გამოყენება;

— დადგენილი წესით დავალებათა ანგარიშებზე რიცხული საბიუჯეტო ასიგნებანი გამოიყენონ მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით;

— სისტემის სამეურნეო ორგანიზაციებისა და სპეციალურ სახსრებზე არსებულ დაწესებულებათა ფინანსური რესურსები პირველ რიგში მოახმარონ დარგის განვითარებას.

2. კატეგორიულად აიკრძალოს საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყენება კომერციული, საბროკერო, საშუამავლო, ერთობლივი და მცირე საწარმოების, კოოპერატივების და სხვა არასახელმწიფოებრივი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საწესდებო ფონდების ფორმირებისათვის, მათი საქმიანობის უაღრესესობისათვის.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ დააწესოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი და აღნიშნული თანხების მიზნობრივი ამოღებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

213 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სასურსათო და არასასურსათო საქონლის არაორგანიზებულად გაბანის ზემოქმედების დროებითი ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში მისახლეობის სოციალური ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საცალო ფასების სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მიღებული ზომების მიუხედავად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა რესპუბლიკა მოაქცია ეკონომიკურ ბლოკადაში და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის მისახლეობის სასურსათო და არასურსათო საქონლით მომარაგებაზე. სავაჭრო ქსელში მკვეთრად შემცირდა საქონლის მარაგი, რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოსულ პირებს მასობრივად გააქვთ სახალხო მოხმარების საქონელი. აღნიშნულ სიტუაციას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ფასები დაბალია სხვა რესპუბლიკებში არსებულ ფასებთან შედარებით.

შექმნილი მდგომარეობის შემსუბუქებისა და არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. 1991 წლის 11 დეკემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საცალო-კოოპერატიულ და კომერციულ სავაჭრო ქსელში სასურსათო და არასასურსათო საქონლის რეალიზაცია განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ მოსახლეობაზე, პასპორტის ან მისი შემცველი დოკუმენტის წარდგენით.

საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსული სტუმრების, ტურისტებისა და სხვა კატეგორიის პირებისათვის, რომლებიც დროებით ან გავლით იმყოფებიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაწესდეს პურის გაცემის ნორმად 0,5 კილოგრამი, ძეხვეულისა — 200 გრამი, კონსერვებისა და სხვა საცალო პროდუქტებისა — 1-3 ერთეული.

2. ქალაქ თბილისის მერიამ, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებმა:

— უზრუნველყონ რესპუბლიკაში მცხოვრებ სამხედრო პირებსა და მათი ოჯახების წევრებზე ან სხვა კატეგორიის მოქალაქეებზე, რომლებსაც გარკვეულ გარემოებათა გამო არ გააჩნიათ რესპუბლიკაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი, სათანადო დროებითი ცნობის გაცემა (აღნიშნული ცნობა ძალაშია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად);

— შინაგან საქმეთა ადგილობრივი სამსახურების მეშვეობით კატეგორიულად აკრძალონ რესპუბლიკის ავტორტრასებზე, ცენტრალურ მაგისტრალებზე, მისახლეობის მასობრივი თავშეყრის ადგილებში და ბაზრობებზე სასურსათო საქონლით ვაჭრობა, გარდა დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვა მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში რაიონებიდან ორგანიზებული სასოფლო ნობათებით ვაჭრობისა.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააწესონ მკაცრი კონტროლი და მიიღონ ქმედითი ზომები რესპუბლიკის ტერიტორიიდან მის ფარგლებს გარეთ საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტითა და სხვა საშუალებებით სახალხო მოხმარების საქონლით უკანონოდ გატანის აღსაკვეთად.

4. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა, და საწარმოებმა, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა დააწესონ მკაცრი კონტროლი ამ დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

5. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანაძი

ქ. თბილისი, 1991 წ. 6 დეკემბერი, № 927

214 იმ მოქალაქეებისათვის ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ, რომლებიც დაინხარნენ სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულის გახსნაში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გაზარდა ადამიანის გატაცების შემთხვევები დაზარალებულისაგან ან მათი ახლობლებისაგან ფულის ან ქონების გამოძალვის მიზნით, აგრეთვე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დანაშაული. ხშირად ასეთი დანაშაული გაუხსნელი რჩება, დამნაშავე კი დაუსჯელი, რაც უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაზე.

დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა გამოვლენაში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მოქალაქეებს, რომლებიც დაეხმარნენ სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა გამოვლენაში, მიეცემათ ფულადი ჯილდო საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი ოდენობის შესაბამისად.



2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს დებულება ფულადი ჯილდოს ოდენობის, გამოცხადებისა და გაცემის წესის შესახებ იმ პირებისათვის, რომლებიც დაეხმარნენ სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულის გახსნასა და დამნაშავის გამოვლენაში.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ამ თანხების გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 9 დეკემბერი, № 929

215 საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეურ-
ნო სამმართველოს შემდგომი შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს რუსთაველის გამზირზე მდებარე № 30 შენობაში განთავსებასა და მის დაქვემდებარებაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების გადმოცემასთან დაკავშირებით სავარძნობლად გაიზარდა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების სამუშაოთა მოცულობა, რომელთა შესრულება შეუძლებელია ამჟამად არსებული საშუალო ერთეულებითა და საბიუჯეტო სახსრებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს თხოვნა და სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების სამეურნეო მომსახურების გაუმჯობესების, აღმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობების უკეთ მომსახურების, მათზე რეცხული ინვენტარის, ორგტექნიკის მოვლა-შენახვისა და მათი ექსპლუატაციის კონტროლის გაძლიერების მიზნით შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე ამ სამინისტროს სამეურნეო სამმართველო.

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს თანდართული დებულება და სტრუქტურა.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მომსახურე პერსონალის შესანახად 62 ათასი მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 13 დეკემბერი, № 939

დამტკიცებულია
 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 13 დეკემბრის
 № 939 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეურნეო სამმართველო (შემდგომში სამმართველო) შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 13 დეკემბრის № 939 დადგენილების საფუძველზე. თავისი განყოფილებებითა და დაქვემდებარებული ორგანიზაციებით იგი არის ერთიანი სისტემა და უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას.

2. სამმართველო არის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამმართველო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის, შიდასაუწყებო ნორმატიული დოკუმენტებისა და მოცემული დებულების შესაბამისად. სამმართველო არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები ბანკში. ჩრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია სახელმწიფო გერბი და ორგანიზაციის სახელწოდება.

3. სამმართველოს აპარატის შესანახ და სამინისტროს მომსახურების ხარჯებს ფარავს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისაგან, სატრანსპორტო მომსახურებით შემოსული ანარეცხების, სამინისტროს მიერ გამოყოფილი და სხვა თანხებით.

4. სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, სეტოტრანსპორტის, მოწყობილობის, საორგანიზაციო ტექნიკის საშუალებათა მოვლა-პატრონობას.

5. სამმართველოს საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რომელიც:

ა) შეიტანს ცვლილებებს სამმართველოს დამტკიცებულ სტრუქტურაში, განიხილავს, განააზღვრავს და ამტკიცებს სამმართველოს საშტატო განრგის, ხარჯთაღრიცხვას, ბალანსებსა და ანგარიშებს;

ბ) აწესებს შენობების სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობას;

გ) გამოყოფს თანხებს მიზნობრივი დანიშნულებით სამმართველოს აპარატის შესანახად და საბრუნავ საშუალებებს — სამეურნეო საქმიანობისათვის;

დ) აძლევს სამმართველოს მინდობილობას იმ საქმეთა საწარმოებლად, რომლებიც მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებასთან არის დაკავშირებული;

ე) იღებს გადაწყვეტილებას სამმართველოს დაქვემდებარებული, სრულსამეურნეო ანგარიშზე არსებული სამსახურების შესაქმნელად.

6. სამმართველო თავის მუშაობას ახორციელებს წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით და უზრუნველყოფს გეგმების დროულად შესრულებას.

II. სამმართველოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. იუსტიციის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამეურნეო მომსახურება.

2. სამმართველოს ბალანსზე არსებული შენობებისა და სათავსების სათანადო მოვლა-შენახვის უზრუნველყოფა. რემონტის ჩატარება, სათავსებისა და მოწყობილობათა სარგებლობის სანიტარიული, ტექნიკური და სხვა წესების დაცვა.

3. სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების განსათავსებლად შენობისა და სათავსების რეკონსტრუქცია-ვაფართოებისათვის წინადადებების მომზადება, შენობათა, მოწყობილობათა გამოყენებისათვის საიჯარო ქირის გადასახდევინებლად, შენობის ექსპლუატაციისა და რემონტის, აგრეთვე მიმდებარე და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა განხორციელებისათვის სახარჯთაღრიცხვებისა და გასავლის განგარიშების შედგენა.

4. სამმართველოსათვის გაპროექტებული საავტომობილო ტრანსპორტის ნუშაობის ორგანიზაცია, მისი ტექნიკური მომსახურება, ტექნიკური რემონტი, სათადარიგო ნაწილებითა და საწვავ-საცხები მასალებით მომარაგება და სხვა. ფარეზიდან ავტოტრანსპორტის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში გასვლის უზრუნველყოფა.

5. გამოყოფილი რესურსების, ექსპლუატაციაში არსებული მოწყობილობისა და საორგანიზაციო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისათვის გასკუთვნილი კულტსაქონლის, მოწყობილობის და საბლანკო პროდუქციის მიღება. შენახვა, განაწილება და გაგზავნა.

6. ხმარებაში არსებული ელექტროგამომთვლელი და სხვა საორგანიზაციო ტექნიკისა და მოწყობილობის რაციონალურად გამოყენება და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

7. მასალების, შრომითი რესურსების ეკონომიკური და ყაირათიანი ხარჯვის უზრუნველყოფა, მუშაკთათვის აუცილებელი და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა.

8. სამმართველოს უფლება აქვს სამინისტროს საჭიროებისათვის გამოუყენებელი მანქანებისა და ინვენტარის რეალიზაცია მოახდინოს სხვა ორგანიზაციებზე და პირებზე.

9. სამმართველო განიხილავს, განსაზღვრავს და ამტკიცებს სრული სამეურნეო ანგარიშის მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, ხარჯთაღრიცხვებს, საშტატო განრიგებს, ბალანსებსა და ანგარიშებს.

10. სამმართველო თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სრული სამეურნეო ანგარიშის მქონე ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს, ხოლო მთავარ ბუღალტრებს — ქვედანაყოფთა ხელმძღვანელობის წარდგინებით.

11. სამმართველო ახორციელებს კონტროლს სრული სამეურნეო ანგარიშის მქონე ქვედანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი.

III. სამმართველოს ხელმძღვანელობა

1. სამმართველოს ხელმძღვანელობას ახორციელებს სამმართველოს უფროსი.

2. სამმართველოს უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი, მთავარი ბუღალტერი ინიშნებიან და თავისუფლდებიან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ, ხოლო სხვა მუშაკები — სამმართველოს უფროსის მიერ.

3. სამმართველოს უფროსი:

ამტკიცებს სრული სამეურნეო ანგარიშის მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, ხარჯთაღრიცხვებსა და საშტატო განრიგებს, სამმართველოს მუშაკთა თანამდებობრივ მოვალებებს, დებს ხელშეკრულებებს, რომლითაც მოიწვევენ ერთგვარადი სამუშაოების შესასრულებლად, როცა საშტატო მუშაკებს არა აქვთ ამ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა. პერსონალურად აგებს პასუხს სამმართველოსათვის დაკისრებული მოვალებების შესრულების, ფინანსური და შრომითი დისციპლინის დაცვისათვის.

განაგებს კრედიტებს, სარგებლობს სამმართველოს ფულად და საფინანსო დოკუმენტებზე პირველადი ხელმოწერის უფლებით.

IV. სამმართველოს ქონება და სახსრები

1. სამმართველოს თავის ბალანსზე აქვს ძირითადი სახსრები, ინვენტარი და სხვა ქონება. მათი შემოწმება ხდება დადგენილი წესით.

სამმართველოს — ნაწილობრივი სამეურნეო ორგანიზაციის შემოსავალია მისი სამეურნეო სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული შემოსავალი და იჯარა, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სამინისტროს შენახვის ხარჯები.

V. ანგარიშგება და რევიზია

სამმართველო თავის საქმიანობისას მთლიანად ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წინაშე.

VI. საქმიანობის შეწყვეტა

სამმართველოს ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით.

სამმართველოს ადგილსამყოფელია თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30.

დამტკიცებულია
 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 13 დეკემბრის
 № 939 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეურნეო
 სამმართველოს

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

ხელმძღვანელობა

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება

ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის გან-
 ყოფილება

ადმინისტრაციული შენობების ექსპლუატაციის და კაპიტალური შმენებლობის
 განყოფილება

სამეურნეო განყოფილება

დაქვემდებარებული ორგანიზაციები

ავტოფარეხი

იურიდიული ლიტერატურის გამომცემლობა

სამშენებლო-სარემონტო უბანი

216 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის
 11 ნოემბრის № 849 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის
 შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაჟოების გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისა და რეექსპორტის განხორციელებისას დამატებითი დანახარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის № 849 დადგენილება და სახელმწიფო ტვირთების სატრანზიტო გადაზიდვების გადასახადისაგან განთავისუფლდნენ მომწე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

საქართველოს რესპუბლიკის
 პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
 მინისტრთა კაბინეტის
 კანცელარიის მმართველი

ა. ლანდია

ქ. თბილისი, 1991 წ. 14 დეკემბერი, № 942

217 მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვის
 მიზნით ანაზღაურების სახეობათა სრულყოფისა და შესაბამისი ოპერაციების
 ცვლილებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ფინანსური და ფულად-საქრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის, თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვის, მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საშემნახველო საქმის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის წინადადება და დამტკიცდეს წარმომდგენზე ანაბარსა და საქართველოს ტერიტორიაზე გაცემულ სერტიფიკატებზე ოპერაციების განხორციელება მათ მფლობელთა ვინაობის დამადასტურებელი საბუთების მონაცემების დაუფიქსირებლად.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის მიერ ანაბრების ახალ სახეობათა (ვადიანი ანაბარი პროგრესული სარგებლით, ფულის მომგებიანი ანაბარი 100000 მანეთი მოგებით) შემოღება.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის მიერ შემუშავებულია ახალი ანაბრების საინსტრუქციო მასალები.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებმა უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ინფორმაციის სრული მიწოდება ანაბრების სახეობათა ცვლილებების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი

ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი

ა. ლანდი

ქ. თბილისი, 1991 წ. 16 დეკემბერი, № 944

218 საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკის თანდართული წესდება.
2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს წესდება გაატაროს რეგისტრაციაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
პირველი მოადგილე

მ. ომანიძე

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილე

3. შუბლაძე

ქ. თბილისი, 1991 წ. 19 დეკემბერი, № 952

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 19 დეკემბრის
№ 952 დადგენილებით

**საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული
აგროსამრეწველო ბანკის (საქაგრომრეწვბანკი)**

წესდება

I თავი

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკი (შემდგომში საქაგრომრეწვბანკი) წარმოადგენს სპეციალიზებულ სახელმწიფო კომერციულ დაწესებულებას და შედის საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემაში.

საქაგრომრეწვბანკი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებას, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ რესპუბლიკური, სოციალური და სხვა პროგრამების დასაფინანსებლად „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის საფუძველზე საქაგრომრეწვბანკი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე.

2. საქაგრომრეწვბანკი და მისი დაწესებულებები ახორციელებენ როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის, საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებების და ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო მოიჯარეების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, მათი გაერთიანებების და ასოციაციების, ისე მეურნეობის სხვა დარგების საწარმოების და ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის დაკრედიტებას, სალაროს მომსახურებას და ანგარიშსწორებას, აგრეთვე მოქალაქეების კომპლექსურ საბანკო მომსახურებას.

საქაგრომრეწვბანკი თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას.

საქაგრომრეწვბანკს ეკისრება პასუხისმგებლობა მისთვის მინდობილი ფულადი სახსრების, ფასეულობების და ქონების დაცვისათვის.

3. საქაგრომრეწვბანკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

— საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის, საიჯარო ურთიერთობათა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გაფართოების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის არული სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა;

— საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა;

— ეკონომიკური სტიმულირება კრედიტისა და სხვა საბანკო ბერკეტების მეშვეობით, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად;

— საკრედიტო დაგეგმვის პრაქტიკის ორგანიზაციის და მეთოდოლოგიის სრულყოფა გავრთიანებების საწარმოების და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობის პირობებში;

— დაკრედიტების და ანგარიშსწორების ყველაზე უფრო ეკონომიკური და პროგრესული ფორმების ორგანიზაცია და ფართო გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარებას;

— კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების და დაკრედიტების ეფექტიანობის ამაღლება, აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-კულტურული სფეროს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საწარმოო სიმძლავრეების და ობიექტების სამოქმედოდ გადაცემის დაჩქარების ხელშეწყობა;

— საქართველოს რესპუბლიკის სასესხო ფონდის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, საკრედიტო რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება;

— სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკრედიტო რესურსების რაციონალური გამოყენება სოფლის მეურნეობის წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაში, ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვაში, საწარმოო ფონდების განახლებაში. საწარმოების საკრედიტო ინიციატივის განვითარება და სტიმულირება პროგრესული მეთოდებით;

— ფულის მიმოქცევის გაჯანსაღება და ეროვნული ფულის მსყიდველობითი უნარის განტკიცება, შრომის ანაზღაურების ფონდის ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერება, აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი გავრთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების სალაროს მომსახურების გაუმჯობესება;

— საქართველოს რესპუბლიკის საექსპორტო პოტენციალის განტკიცება სავალუტო შენატანების გაზრდისათვის, მათი რაციონალური და ეკონომიკური ხარჯვისათვის ხელშეწყობა;

— საბანკო-ობერაციების მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებების და ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა და ეფექტიანი გამოყენება;

— საბანკო აპარატის მუშაობის სტილის და მეთოდების გაუმჯობესება, ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება;

4. საქაგრომრეწვებანკი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საკრედიტო გეგმის, რესურსების და საკრედიტო დაბანდებათა გეგმების პროექტებს;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად მონაწილეობს დაკრედიტების ობიექტების, კრედიტების გაცემის და დაფარვის, შეღავათების, საკრედიტო ზემოქმედების ღონისძიებების განსაზღვრაში, სოფლის მეურნეობაში სალაროს ობერაციების და ანგარიშგების ბანკებში აღრიცხვის და ანგარიშგების წარმოების წესების დადგენაში;

— მონაწილეობს მომსახურე რაიონების და ქალაქების ტერიტორიაზე კვარტალური სალაროს ბრუნვების პროგნოზული გაანგარიშების შედგენაში;

— ახორციელებს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სალაროს შესრულებას რაიონებში და ქალაქებში მისდამი დაქვემდებარებული ბანკის განყოფილებების მეშვეობით;

— მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის და ეროვნული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებაში;

— უზრუნველყოფა აგრომრეწვბანკის რაიონული და საქალაქო განყოფილებების მიერ ბანკებს შორის ურთიერთანგარიშსწორების ოპერაციების შესრულებას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად ატარებს საბანკო ოპერაციების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სამუშაოებს;

— ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე ახორციელებს ოპერაციებს უცხოური ვალუტით, კრედიტით ხელს უწყობს ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებების და ორგანიზაციების საქმიანობას, ახორციელებს ანგარიშსწორებას მათი პირდაპირი კავშირების მიხედვით, აგრეთვე არასავაჭრო ოპერაციების საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციების და მოქალაქეების მომსახურებისათვის;

— შეიმუშავებს და ახორციელებს გაცემული კრედიტების დროულად დაბრუნების და საგადასახადო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს;

5. საქაგრომრეწვბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით და გადაწყვეტილებებით; საქართველოს რესპუბლიკის კანონებით — „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში ფულადი საკრედიტო რელეგირების შესახებ“, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ წესდებით, უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვას მისი საუწყებო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია საქაგრომრეწვბანკის ვალდებულებებზე.

7. საქაგრომრეწვბანკი და მისი განყოფილებები თავიანთ ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად.

8. საქაგრომრეწვბანკისაგან მიღებული სესხებისათვის მსესხებელი მას უხდის პროცენტს დადგენილი წესით.

9. საქაგრომრეწვბანკის მომსახურებაში მყოფ ორგანიზაციათა სახსრებზე ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ სასამართლო, საგამომიებლო და საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებით; გადასახდელს დაკისრება შეიძლება მხოლოდ აღმასრულებელი ფურცლით, რომელიც გაცემულია სასამართლოსა

და არბიტრაჟის ორგანოების გადაწყვეტილებებით ან სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საფინანსო ორგანოების მოთხოვნით.

10. საქაგრომრეწვბანკს და მის დაწესებულებებს უფლება არა აქვთ შეასრულონ მითითებები და მოთხოვნები, რომლებიც არ გამომდინარებენ მოქმედი კანონმდებლობიდან, ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებიდან და ამ წესებიდან.

11. საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებების ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას საიდუმლოება ბანკის და მისი კლიენტების ანგარიშებზე და ოპერაციებზე.

ბანკის დაწესებულებებს შეუძლიათ გასცენ ცნობები ოპერაციებზე და ანგარიშებზე უშუალოდ კლიენტების, მათი ზემდგომი ორგანოების, აგრეთვე სასამართლო, საარბიტრაჟო, სავაჭრო საფინანსო ორგანოების მოთხოვნით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. საქაგრომრეწვბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს და მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, ფლობს განცალკევებულ ქონებას.

13. საქაგრომრეწვბანკს და მის დაწესებულებებს გააჩნიათ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

14. საქაგრომრეწვბანკს აქვს საწესდებო კაპიტალი 4000 მლნ. მანეთის ოდენობით.

15. საქაგრომრეწვბანკის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

II. საქაგრომრეწვბანკის ოპერაციები

16. საქაგრომრეწვბანკი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო ბიუჯეტის, ბანკებს შორის საკრედიტო რესურსების და საკრედიტო დაბანდებათა განაწილების გეგმის შესაბამისად აწარმოებს ძირითად საქმიანობას აგროსამრეწველო კომპლექსის დაწესებულებების სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოთა ორგანიზაციების, სასოფლო სამეურნეო მოიჯარეების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, მათი გაერთიანებების, ასოციაციების და მეურნეობის სხვა დარგების დაწესებულებების, ორგანიზაციების, სატყეო, თევზის მეურნეობების, მრეწველობის, დამზადების, პურპროდუქტების, მშენებლობის, მელიორაციის და წყალთა მეურნეობის, მომარაგებისა და გასაღების, ტრანსპორტის, ვაჭრობის და აგროსამრეწველო კომპლექსის, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სხვა დარგების დაკრედიტებას.

აფინანსებს კაპიტალურ დაბანდებებს, სოპერაციო გასაღებს და სხვა დანახარჯებს, რისთვისაც იღებს და განათავსებს ფულად ანაბრებს, იზიდავს და გასცემს სესხებს კლიენტებისა და ბანკ კორესპონდენტების დავალებით ახორციელებს ანგარიშსწორებას და მათ სალაროს მომსახურებას.

ობერაციების გასახორციელებლად და ფულადი სახსრების შესანახად საქაგრომრეწვბანკი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში ხსნის საკორესპონდენტო ანგარიშს.

17. საქაგრომრეწვბანკი მობილიზაციას უწევს საწარმოების, ორგანიზაციების, მოიჯარეთა და მეწარმეთა გლეხური (ფერმერული) მეურნეობების თავისუფალ ფულად სახსრებს და ინახავს მათ ანგარიშსწორების, მიმდინარე დეპოზიტურ და სხვა ანგარიშებზე.

საქაგრომრეწვბანკი მოიზიდავს მოქალაქეთა სახსრებს შენატანების სახით განსაზღვრული ვადით და მოთხოვნამდე.

18. საქაგრომრეწვბანკი დადგენილი წესით ახორციელებს იმ გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების დაქრედიტებას და დაფინანსებას, რომლებიც ეწევიან საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსში არსებულ უცხოეთის ქვეყნების მონაწილეობით შექმნილ ერთობლივ საწარმოებს.

საქაგრომრეწვბანკი უფლებამოსილია განახორციელოს იმ საწარმოების და ორგანიზაციების აგრეთვე ერთობლივი საწარმოების უცხოური ვალუტით დაკრედიტება, რომლებიც ეწევიან საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გაცემული უცხოურ ვალუტაში ობერაციების წარმოების შესახებ გენერალური ლიცენზიის მიღების შემდეგ.

19. საქაგრომრეწვბანკი სახელშეკრულებო პირობებით ახორციელებს მეურნეობის სხვა დარგების იმ გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების დაფინანსებას, რომლებიც იმყოფებიან აგრომრეწვბანკის მომსახურებაში.

20. გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან საკრედიტო ურთიერთობებზე საქაგრომრეწვბანკი ამყარებს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების, დაკრედიტების პრინციპების, ვალიანობის, მიზნობრიობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის მკაცრად დაცვის საფუძველზე. არ დაუშვებს კრედიტების გამოყენებას ხანგრძლივი ფინანსური ჩავარდნების ან ზარალის დასაფარავად.

21. გაერთიანებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან ბანკების დამოკიდებულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხართა ურთიერთვალდებულებებს და ეკონომიკურ პასუხისმგებლობებს, საკრედიტო ხელშეკრულებათა საფუძველზე საქაგრომრეწვბანკი წყვეტს კრედიტების გაცემის და დაფარვის, საბროცენტო განაკვეთების ოდენობის გაზრდის ან შემცირების საკითხებს.

22. მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებას, დაკრედიტებას და ანგარიშსწორებას საქაგრომრეწვბანკი ახორციელებს მშენებლობის დაფინანსების და დაკრედიტების წესების, კაპიტალური მშენებლობის ნარდობის ხელშეკრულების წესების და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

23. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ქვეშ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია ფასეულობათა გირაოთი, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში მსესხებლის ზემდგომი ორგანოების გარანტიებით.



24. საქაგრომრეწვბანკის მიერ სოფლის მეურნეობაში სეზონური სამრეწველო დანახარჯებისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდად გაცემული კრედიტები უზრუნველყოფილია მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ამოღებით.

25. საქაგრომრეწვბანკი ახორციელებს საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული მოქალაქეების დაკრედიტებას კრედიტების ვადიანობის, მიზნობრიობის დაბრუნებათობის და ფასიანობის პირობით. ბანკის მიერ გაცემული სესხები როგორც წესი უზრუნველყოფილია მსესხებლის კუთვნილი ქონების გირაოთი, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შეიძლება დაკისრებული იქნეს ვადასახდელი, აგრეთვე ბანკის პრაქტიკაში მიღებული თავდებობის და ვალდებულებების სხვა ფორმებით. ამ გარანტიების, თავდებობის, ან ვალდებულებების ოდენობის უკმაძრებლობას განსაზღვრავს საქაგრომრეწვბანკი.

26. საქაგრომრეწვბანკი გაერთიანებებს, საწარმოებს, სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოებს მეურნეობებს უხსნის ანგარიშების საწარმოებლად მათი საქმიანობის ხასიათის მიხედვით ანგარიშსწორების, საბიუჯეტო, მიმდინარე და სხვა ანგარიშებს.

საქაგრომრეწვბანკი იძლევა თავისი კლიენტების და კორესპონდენტების ანგარიშებსა და შენატანებზე ოპერაციების საიდუმლოების გარანტიას.

ბანკის ყველა მომსახურე ვალდებულია დაიცვას მათი კლიენტებისა და კორესპონდენტების ანგარიშებსა და შენატანებზე ოპერაციების საიდუმლოება.

27. საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იქმნება ეროვნული ფულის სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა და მონეტების სარეზერვო ფონდები, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ნებართვით.

საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებებში ნაღდი ფულის ინკასაციაზე, სარეზერვო ფონდებში და სალაროებში ფასეულობის სრულ დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

28. გარდა შენატანების მოზიდვის და სესხების სახით მათი განთავსებისა საქაგრომრეწვბანკი ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს;

- ა) კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ანგარიშების წარმოება;
- ბ) კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ინვესტირებადი სახსრების მფლობელის ან მათი განმკარგულებელის დავალებით;
- გ) სახელმწიფო საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, გაყიდვა და შენახვა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;

დ) მესამე პირის მაგივრად თავდების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემა, რომელთა შესრულებაც ვათვალისწინებულია ფულად ფორმაში;

ე) საქონლის მოწოდებისა და მომსახურების გაწევიდან მოთხოვნის უფლების შექმნა, ასეთი მოთხოვნის შესრულებაზე ღირსების აღება და ამ მოთხოვნის ინკასირება (ფაქტორინგი).

ვ) საწარმოების და ორგანიზაციების თხოვნით მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ქონების შექმნა და იჯარით გაცემა (ლიზინგი);

ზ) ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან უცხოური ვალუტის შექმნა და მათთვის მისი მიყიდვა;

თ) საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ ძვირფასი ლითონების, ბუნებრივი ძვირფასი ქვების, აგრეთვე მათგან დამზადებულ ნაკეთობათა შექმნა და გაყიდვა;

ი) ანგარიშებსა და ანაბრებზე ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება, აგრეთვე ამ ფაქტორებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;

კ) კლიენტების დავალებით სამინდობო ოპერაციები (სახსრების მოზიდვა და განზიდვა, ფასიანი ქაღალდების მართვა და სხვა),

ლ) საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

მ) ბანკთაშორისო ოპერაციების წარმოება;

29. საქაგრომრეწვბანკს შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისაგან მიღებული ლიცენზიების საფუძველზე განახორციელოს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

30. საქაგრომრეწვბანკი ახორციელებს სხვა სახის ოპერაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია მისი წესდებებით და არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

III. საქაგრომრეწვბანკის უფლებები

31. დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების და ფულადი მიმოქცევის ოპერაციების წარმოების უზრუნველსაყოფად საქაგრომრეწვბანკს უფლება აქვს:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტთან აქტიური და პასიური ოპერაციების ჩატარებისას დააწესოს საპროცენტო განაკვეთები, ასევე საკომისიო გასამრჯელოს ოდენობა მომსახურებისათვის;

ბ) მიიღოს დასაკრედიტებლად საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ბალანსები და მათი გადახდის უნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ასევე გაცემული კრედიტის უზრუნველყოფა;

გ) დაქვემდებარებული ფილიალებისა და საბანკო დაწესებულებებიდან მიიღოს ანგარიშგებები, ბალანსები და საინფორმაციო მასალები ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

32. მოითხოვოს იმ მშენებლობის გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ობიექტებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ბანკის საკუთარი სახსრების ან კრედიტების საფუძველზე.

33. საკრედიტო ხელშეკრულების ვალდებულებათა დარღვევისათვის შეუწყვიტოს კრედიტის შემდგომი გაცემა, მოახდინოს საკრედიტო თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება.

34. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოაცხადოს საწარმოები და ორგანიზაციები გადახდისუუნაროდ. წინადადებით შევიდეს ასეთი ორგანიზაციებისა და საწარმოების, როგორც ორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

35. საქაგრომრეწვბანკს და მის დაწესებულებებს ეკრძალებათ ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც საბანკო საქმიანობის სფეროს სცილდება, აგრეთვე საქმიანობა ყველა სახის დაზღვევის სფეროში.

IV. საქაგრომრეწვბანკის მართვა

36. საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციულ აგროსამრეწველო ბანკი შესდგება ცენტრალური აპარატისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებები (განყოფილებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან).

37. საქაგრომრეწვბანკს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებში აქვს დაწესებულებები ამ რესპუბლიკების აგრომრეწვბანკის სამმართველოების სტატუსით.

38. საქაგრომრეწვბანკი განსაზღვრავს მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ჩამოყალიბების, დახურვის (გაუქმების) და ფუნქციონირების წესებს.

39. საქაგრომრეწვბანკის ხელმძღვანელობას ახორციელებს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობა.

40. საქაგრომრეწვბანკის ხელმძღვანელობას ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი (გამგეობის თავმჯდომარე და მოადგილეები). საქაგრომრეწვბანკის გამგეობის თავმჯდომარე მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე იღებს მონაწილეობას საათათბირო ხმის უფლებით.

41. საქაგრომრეწვბანკის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, საშტატო ერთეულების რაოდენობას, თანამდებობრივ განაკვეთებს და ხელფასის ფონდს ადგენს საქაგრომრეწვბანკის გამგეობა.

42. საქაგრომრეწვბანკში იქმნება გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და წევრების შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებენ



საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით.

43. საქაგრომრეწვებანკი თავისი საქმიანობის საკითხები გადაწყვეტაში, კოლეგიალური და ეოთპიროვნულობის შერწყმის საფუძველზე, გამოიყენებს უპირატესად ეკონომიკურ მეთოდს, ქმნის პირობებს ბანკის დაწესებულებებში შრომითი კოლექტივის ინიციატივის გამოსავლენად, ყოველმხრივ განავითარებს და გამოიყენებს ბანკის საქმიანობაში სრული სამეურნეო ანგარიშის და თვით-დაფინანსების პრინციპებს.

44. საქაგრომრეწვებანკის გამგეობის თავმჯდომარე შეიძლება შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან შექმნილ მრჩეველთა საბჭოში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

45. საქაგრომრეწვებანკის გამგეობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ბანკის მთელ საქმიანობას და პერსონალურად პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის.

46. საქაგრომრეწვებანკის გამგეობის თავმჯდომარე:
— გამოსცემს ბრძანებებს, ინორმატიულ აქტებს, ამტკიცებს დებულებებს ბანკის საქმიანობის საკითხებზე, აგრეთვე ახორციელებს წარმომადგენლობას ბანკის საქმიანობის ყველა საკითხზე სახელმწიფო ორგანოებში და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ;

— ქმნის დაქვემდებარებული ბანკების განყოფილებებსა და ფილიალებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ახდენს მათ რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას,

— ამტკიცებს საქაგრომრეწვებანკის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და საშტატო განრიგს, ადგენს ამ აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს, ამტკიცებს საქაგრომრეწვებანკის დაწესებულებების განყოფილებებისა და მისი საუწყებო საწარმოების და ორგანიზაციების სტრუქტურებს და შტატებს, — ნიშნავს საქაგრომრეწვებანკის თანამდებობის პირებს დადგენილი ნომენკლატურის თანახმად და ათავისუფლებს მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს თანამდებობრივ და პერსონალურ განაკვეთებს, წახალისებს გამორჩეულ მუშაკებს, ადებს დისციპლინარულ სასჯელებს;

— ამტკიცებს დებულებებს საქართველოს აგრომრეწვებანკის ცენტრალური აპარატის და მისი დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ;

— ანაწილებს მოვალეობებს საქაგრომრეწვებანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებს შორის, ადგენს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების და მოადგილეების პასუხისმგებლობის დონეს — საქმის მდგომარეობაზე, სამუშაოსა და მინდობილ უბანზე;

— რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ეკონომიკურ საკითხებზე გამოკვლევების შედეგების შესახებ, განსახილველად წარადგენს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოების ეფექტიანობის ამოღების წინადადებებს;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან არსებულ მრჩეველთა საბჭოში განსახილველად შეაქვს წინადადებები დაკრედიტების მექანიზმის სრულყოფისათვის, მსესხებლებზე ეკონომიკური ზემოქმედების ღონისძიებათა გასაძლიერებლად, ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცების და ბანკის საქმიანობის სხვა საკითხებზე;

— ამტკიცებს დებულებას საქაგრომრეწვბანკის ცენტრალური აპარატის დაქვემდებარებული განყოფილებების, საწარმოების და ორგანიზაციების მუშაობისასახურეთა პრემირების შესახებ;

— საქაგრომრეწვბანკის გამგეობის თავმჯდომარემ შეიძლება მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა დაავალოს მოადგილეებს;

47. საქაგრომრეწვბანკის გამგეობა პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობის ეფექტიანობაზე, ბანკზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე, გადაწყვეტილებების მიღებისას იგი ემყარება საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ახორციელებს ბანკის საუწყებო დაწესებულებების მიერ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ და სხვა კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებების და გადაწყვეტილებების, ამ წესდების და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლს.

48. საქაგრომრეწვბანკის გამგეობა თავის სხდომაზე განიხილავს:

— დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშების, ფულის მიმოქცევის, შიდა საბანკო კონტროლის, საქმიანობაში სრული სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პრინციპების განხორციელების ძირითად საკითხებს;

— საკადრო გეგმების პროექტებს, რესურსების მობილიზაციისა და კაბანდბანდებთან გეგმების პროექტებს და ანგარიშგებას მათ შესრულებაზე;

— კადრების შერჩევის, მომზადების და გამოყენების საკითხებს.

საქაგრომრეწვბანკის ბრძანების ინსტრუქციების და სხვა აქტების პროექტებს.

რევიზიის მასალებს, ავტონომიური რესპუბლიკების ბანკების ხელმძღვანელების და სამმართველოების უფროსების, საქაგრომრეწვბანკის ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფების და საუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელების ანგარიშებს მათ საქმიანობაზე.

— საქაგრომრეწვბანკის წლიურ ანგარიშს და ბალანსს.

49. საქაგრომრეწვბანკის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები როგორც წესი ხორციელდება საქაგრომრეწვბანკის თავმჯდომარის ბრძანებებით. თავმჯდომარესა და გამგეობას შორის უთანხმოების შემთხვევაში, თავმჯდომარე ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებას.

50. საქაგრომრეწვბანკი, ავტონომიური რესპუბლიკების ბანკები, დაქვემდებარებული განყოფილებები, საწარმოები და ორგანიზაციები უზრუნველ-

ყოფენ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევისა და სალაროს ოპერაციების სფეროში.

50. ბანკის სამეურნეო ანგარიში და ფონდები

51. საქაგრომრეწვებანკის სისტემა მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, მთავარ სამეურნეო რგოლს წარმოადგენენ რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების) სამმართველოები და ბანკის განყოფილებები ქალაქებსა და რაიონებში.

საქაგრომრეწვებანკის სამეურნეო საქმიანობის მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს მოგება, რაც საქაგრომრეწვებანკის შრომითი კოლექტივის საწარმოო და სოციალური განვითარების და მატერიალური სტიმულირების ძირითადი წყაროა. მოგება იქმნება ბანკის კლიენტების მიერ კრედიტისათვის გადახდილი პროცენტის, სხვა ბანკების მიერ საქაგრომრეწვებანკის რესურსების სარგებლობისათვის გადახდილი თანხის, დაქვემდებარებული საწარმოების და ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობის შემოსავლებიდან და სხვა შემოსავლებისაგან.

საქაგრომრეწვებანკის მოგება დამტკიცებული ნორმატივის ფარგლებში წარმართება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში, სარეზერვო, საწარმოო და სოციალური განვითარების, მატერიალური წახალისების და სავალუტო ანარიცხების ფონდების შესაქმნელად.

52. საქაგრომრეწვებანკი დაწესებული ნორმატივის ფარგლებში ქმნის ფონდებს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ნებართვით საქაგრომრეწვებანკს შეუძლია შექმნას ფონდებიც.

53. საქაგრომრეწვებანკის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 400 მილიონი მანეთის ოდენობით. საქაგრომრეწვებანკის საწესდებო ფონდის გაზრდა ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით.

საწესდებო ფონდი ემსახურება საქაგრომრეწვებანკის ვალდებულებათა უზრუნველყოფას, ანარიცხები საწესდებო ფონდში წარმოებს მისი ზღვრული ოდენობის მიღწევამდე. თუ საწესდებო ფონდი სრულად ან ნაწილობრივ გაიხარჯება ზარალის დასაფარავად, მაშინ ანარიცხები ამ ფონდში განახლდება და დაღვენილ ოდენობამდე იწარმოებს.

54. ძირითადი საშუალებების ფონდი შედგება საქაგრომრეწვებანკის კუთვნილი შენობების, ნაგებობებისა და სხვა ქონებისაგან.

55. საქაგრომრეწვებანკი და მისი დაქვემდებარებული დაწესებულებები მათი ფინანსური ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად ვალდებულნი არიან დაიცვან ეროვნული ბანკის მიერ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივები, აგრეთვე შექმნან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდები.

56. სარეზერვო ფონდი იქმნება საქაგრომრეწვბანკის მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე და განკუთვნილი მისი ოპერაციების შესაძლო ზარალის დასაფარავად.

57. საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი და მატერიალური წახალისების ფონდი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით.

საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებები თავიანთ მოგებას გადარიცხავენ საქაგრომრეწვბანკის ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად. ანარიცხების ზღვრული ოდენობა მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

საწარმოო და სოციალური განვითარების სახსრები ცენტრალიზებული წესით წარიმართება მატერიალური ბაზის განვითარების და განმტკიცების ღონისძიებების დასაფინანსებლად, თანამედროვე გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკის შესაძენად, საქაგრომრეწვბანკის საუწყებო, საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის.

58. მატერიალური წახალისების ფონდი გაიხარჯება ჯილდოების და შრომის წახალისების სხვა ფორმების და აგრეთვე მატერიალური დახმარების გასაცემად.

დებულებას საწარმოო სოციალური განვითარების ფონდების და მატერიალური წახალისების ფონდის შესახებ ამტკიცებს საქაგრომრეწვბანკის გამგეობა.

59. საქაგრომრეწვბანკის სავალუტო ანარიცხების ფონდი იქმნება ფიზიკური და იურიდიული პირების პროდუქციის ექსპორტის რეალიზაციით მიღებული სახსრების, უცხოეთის ბანკების და საწარმოების აქციებისა და ობლიგაციებიდან მიღებული მოგებით, საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებების და ორგანიზაციების მიერ კრედიტებით სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტებით და სავარგო-ეკონომიკური საქმიანობის სხვა შემოსავლებით.

სავალუტო ანარიცხების ფონდის სახარების ხარჯზე საქაგრომრეწვბანკის უფლება აქვს თავისი საჭიროებისათვის შეიძინოს გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკა, სამედიცინო აპარატურა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საქონელი, აგრეთვე მიავლინოს ბანკის სპეციალისტები ბანკებს შორის კავშირების უზრუნველყოფის საკითხებზე მოლაპარაკებისა და გამოცდილების გასაზიარებლად, მუშა-მოსამსახურეთა წასახალისებლად.

6. ბანკის პასუხისმგებლობა მის ოპერაციებზე

60. ფულადი სახსრების არასწორი გაცემის ან მათი არასწორი გადარიცხვის შემთხვევაში პირველ რიგში პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქაგრომრეწვბანკის დაქვემდებარებულ განყოფილებებს, აგრეთვე ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ დაწყოფებს კლიენტებზე მიყენებული ზარალისათვის არასწორად გაცემული ან გადარიცხული თანხების ფარგლებში, თუ არ იქნება დადგე-

ნილი, რომ თანხების არასწორი გაცემა ან გადარიცხვა მოხდა კლიენტების ბრალეული ქმედებით.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში საქაგრომრეწვბანკის პასუხისმგებლობა კლიენტების წინაშე შემოიფარგლება ჯარიმით, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი დებულებით.

საქაგრომრეწვბანკსა და მის კლიენტებს შორის ამ ჯარიმების დაკისრების საკითხები განიხილება დადგენილი წესით.

7. საქაგრომრეწვბანკის აღრიცხვა, ანგარიშგება

61. საქაგრომრეწვბანკში აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით, მისი საანგარიშგებო პერიოდია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

62. საქაგრომრეწვბანკის მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი საანგარიშგებო და სხვა მასალების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

63. საქაგრომრეწვბანკის წლიური ანგარიში და ბალანსი დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, მომდევნო საანგარიშგებო წლის არაუგვიანეს 30 აპრილისა.

64. საქაგრომრეწვბანკის და მის დაწესებულებათა მიერ საბანკო კანონმდებლობის დაცვას აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ამ მიზნით ბანკების შემოწმებას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი მის კომპეტენციის ფარგლებში ან მისი დავალებით აუდიტორიული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შესაბამისი რწმუნებანი.

65. საქაგრომრეწვბანკის განყოფილებების, საწარმოების და ორგანიზაციების ბალანსიდან სააქონლო-მატერიალური ფასეულობების, დავალიანებების, მორალურად მოძველებული და გაცვეთილი მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ქონების ჩამოწერა ხდება საქაგრომრეწვბანკის გამგეობის თავმჯდომარის მიერ დადგენილი წესით.

66. საქაგრომრეწვბანკი აქვეყნებს ბალანს და მოგება-ზარალის ანგარიშებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და დაწესებულ ვადებში მას შემდეგ, როცა მათი მოყვანილი მონაცემების უტყუარობა დადასტურებული იქნება აუდიტორიული ორგანიზაციის მიერ.

8. საქაგრომრეწვბანკის სარევიზიო საქმიანობა

67. საქაგრომრეწვბანკის დაწესებულებების საქმიანობის რევიზია ხორციელდება სარევიზიო აპარატის მიერ. რევიზიის ჩატარების წესსა და პერიოდულობას ადგენს საქართველოს აგროსამრეწველო ბანკის გამგეობა.

საქაგრომრეწვბანკის სისტემაში სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციაზე და მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქაგრომრეწვბანკის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსს, რომელიც წარმოადგენს საქაგრომრეწვბანკის გამგეობის წევრს.

68. საქაგრომრეწვბანკის რევიზორებს უფლება აქვთ მიიღონ გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციებისაგან ცნობები და დოკუმენტების ასლები საქაგრომრეწვბანკის ოპერაციებზე.

9. საქაგრომრეწვბანკის საქმიანობის შეწყვეტა

69. საქაგრომრეწვბანკის საქმიანობის შეწყვეტა ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით და „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე რესპუბლიკაში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. მათივე გადაწყვეტილებით განისაზღვრება საქაგრომრეწვბანკის ქონების შემდგომი გამოყენება.

70. ამ წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება საქაგრომრეწვბანკის წინადადებით რომელთაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

219 საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული საბინაო-კომუნალური მუშაობებისა და სოციალური განვითარების განყოფილების განყოფილების დაარსების დაგეგმვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ად გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული საბინაო-კომუნალური მუშაობებისა და სოციალური განვითარების განყოფილების — საქბინსოცბანკის თანდართული წესდება.

2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საქბინსოცბანკის წესდება გაატაროს რეგისტრაციაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
პირველი მოადგილე

მ. ომანიძე.

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილე

ვ. შუბლაძე.

ქ. თბილისი, 1991 წ. 19 დეკემბერი, № 954

დავტკიცებულა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 19 დეკემბრის
 № 954 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული
 საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკის
 საქბინსოცბანკის

წ ე ს ლ ე ბ ა

I. წოგალი დებულებები

1.1. საქართველოს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკი არის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკი (შემდგომში ბანკი) და წარმოადგენს საქართველოს საკუთრებას.

1.2. ბანკი სპეციალიზებულია საბინაო-კომუნალური და სოციალური სფეროს ფულად-საკრედიტო და სხვა საბანკო მომსახურებაზე, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და კომერციულ საფუძველზე სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური პროგრამების რეალიზაციის უზრუნველყოფა-მომსახურებაზე.

1.3. ბანკის დამფუძნებელია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

1.4. ბანკის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელია: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 3.

1.5. ბანკი არის იურიდიული პირი, აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, შეიძლება გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში, გაჩნდა მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდებისა და სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ბლანკი და რეკვიზიტები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.6. ბანკი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ერთიან საბანკო სისტემის სუბიექტს, მოქმედებს სამეურნეო დამოუკიდებლობისა და თვითანაზღაურების პრინციპებით, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებითა და ამ წესდებით.

1.7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია ბანკის ვალდებულებებისათვის, ხოლო ბანკი პასუხს არ აგებს მინისტრთა კაბინეტის ვალდებულებებისათვის.

1.8. ბანკის ძირითადი ამოცანებია:

— საქართველოს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების სფეროში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურის სხვა სფეროში სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;

— სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური პროგრამების რეალიზაციის საბანკო მონსახურება და ბანკის კლიენტების დაკრედიტების ეფექტიანობის ამაღლება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებისა და საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის გზით;

— საქართველოს რესპუბლიკის სოციალური სფეროს, აგრეთვე სხვა დარგების საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ფიზიკურ პირთა საკრედიტო, საფინანსო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა სახის საბანკო მომსახურება კომერციულ საწყისებზე;

— ფულის მიმოქცევის გაჯანსაღება და ეროვნული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცება, საფინანსო და საკრედიტო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;

— თავისი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების გადიდება და გამოყენება სახელმწიფო ინტერესებისა და ბანკის შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

— საქართველოს რესპუბლიკის საქსპორტო პოტენციალის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა სავალუტო ამონაგების გაზრდისა და ნათი ეფექტიანი გამოყენებისათვის;

— საერთაშორისო საბანკო სისტემაში ჩართვა და მონაწილეობა;

— საბანკო ოპერაციების მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებების, ავტომატიზაციის სისტემების ფართო დანერგვა და ეფექტიანი გამოყენება;

— საბანკო აპარატის მუშაობის სტილის გაუმჯობესება, ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირება;

1.9. ბანკი მასზე დაკისრებული ამტანების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

— ამუშავებს საკრედიტო რესურსებისა და საკრედიტო დაბანდებების პროექტებს, უდგენ მას ეროვნულ ბანკს და ეწევა მისი შემდგომი შესრულების ორგანიზაციას;

— ორგანიზაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური სფეროს, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურის სხვა საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ფიზიკურ პირთა საკრედიტო, საფინანსო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა სახის საბანკო მომსახურებას;

— სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების რეალიზაციის მიზნით მინიჭებული უფლებების ფარგლებში განსაზღვრავს დაკრედიტების მიმართულებებს და ორგანიზაციას უწევს მათ მიზნობრივად გამოყენებას;

— ამუშავებს და ახორციელებს გაცემული კრედიტების დროული დაბრუნებისა და სავადასახადო დისციპლინის გამტკიცების ღონისძიებებს;

— ბანკის დაწესებულებების მეშვეობით ახორციელებს რესპუბლიკის ბიუჯეტის საღირს შესრულებას და ბიუჯეტის სხვა მომსახურებას;

— ბანკის დაწესებულებებისათვის განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელის ერთიან სიდიდეებს ან მინიმალური და მაქსიმალური ზღვრებს და აწესებს მისი გამოყენებისადმი კონტროლს;

— მონაწილეობს ფულის მიმოქცევის გაჯანსაღებისა და ეროვნული ფულის მსყიდველობითი უნაჩის განმტკიცების ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებაში;

— ადგენს ბანკის დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგლამენტს და ბანკის ერთიან დამოუკიდებელ ბალანსს;

— ამუშავებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა საბანკო მომსახურების ოპერაციების ჩატარების საკითხებზე ნორმატიულ-ინსტრუქციულ დოკუმენტაციას და ორგანიზაციას უწევს მათ დანერგვას;

— ახორციელებს ფასიანი ქაღალდის ნიშნების, სხვა ფასიანი ბლანკების წარმოების ორგანიზაციას საკუთარი ბაზის ან ხელშეკრულების საფუძველზე, ამ ქაღალდის ნიშნებითა და ბლანკებით ბანკის დაწესებულებების უზრუნველყოფას;

— ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში და ეწევა საერთაშორისო საბანკო ურთიერთობაში დამკვიდრებულ სხვა საქმიანობას მნიშვნეული უფლებების ფარგლებში;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად ატარებს საბანკო ოპერაციებს ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საქმეში;

— ახორციელებს ბანკის დაწესებულებებისათვის კადრების მომზადებას და გადამზადებას;

— ორგანიზაციას უწევს ბანკის დაწესებულებების მიერ ბანკის ნორმატიულ-ინსტრუქციული მითითებების, საფინანსო, საკრედიტო, საგადასახადო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლს;

— ახორციელებს ეროვნული ბანკის მიერ დელეგირებულ სხვა ფუნქციებს;

1.10. ბანკის მიერ მოზიდული სახსრების გამოყენებისას უზრუნველყოფილია სახსრების დატულობის, კლიენტების მიმართ ვალდებულებების თავისდროული შესრულების პრინციპების დაცვა სპეციალური მარეგლამენტებელი წესებით.

1.11. ბანკი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად განსაზღვრავს სადებოზიტო, საანაბრო და სხვა ოპერაციების წესობების პირობებს და წესს.

II. ბანკის ოპერაციები

2.1. ბანკი თავის კლიენტებს უწევს საკრედიტო, საფინანსო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა სახის საბანკო მომსახურებას, მათ შორის:

— კლიენტების იურიდიულ პირთა, მოქალაქეთა, აგრეთვე ბანკ-კორესპონდენტების, ანგარიშების წარმოება;

- ფულადი ანაბრების მოზიდვა და ქრედიტებში დაბანდება;
 - კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების დავალებით ანგარიშსწორების განხორციელება და მათი საკასო მომსახურება;
 - ინვესტირებული სახსრების მფლობელთა ან განმკარგულბელთა დავალებით კაპიტალური დაბანდების დაფინანსება, ინოვაციურ ღონისძიებათა დაფინანსება და დარედიტება;
 - საადასახლო დოკუმენტებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (ჩეკები, აკრედიტივები, თამასუქები, აქციები, ობლიგაციები და სხვა) გამოშვება და მათი ყიდვა-გაყიდვისა და შენახვის ოპერაციების წარმოება;
 - სახელმწიფო საგადასახლო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, გაყიდვა და შენახვა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების წარმოება;
 - მესამე პირის ნაცვლად თავდებობის, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებების გაცემა, რომელთა შესრულება გათვალისწინებულია ფულადი ფორმით;
 - კლიენტების დავალებით სამინდობილობო ოპერაციების შესრულება (სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდებით მართვა და სხვა);
 - საინჟინრო-ეკონომიკური ექსპერტიზის და სხვა მომსახურების ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობის განხორციელებასთან;
 - საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწვევისათვის გადახდის მოთხოვნის უფლების შექმნა, ასეთი მოთხოვნების შეარტულებაზე რისკის აღება და ავ მოთხოვნათა ინკაშაცია (ფაქტორინგი);
 - საწარმოების, ორგანიზაციების მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების შექმნა და იჯარით გაცემა (ლიზინგი);
 - საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ძეძრფასი ლითონების, ძვირფასი ქვების, აგრეთვე მათგან დამზადებულ ნაკეთობათა შექმნა და გაყიდვა;
 - ანგარიშებზე და ანაბრებზე ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება;
 - სხვა ბანკების კლიენტების მომსახურება;
 - საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
 - სხვა საბანკო მომსახურების გაწევა და ოპერაციების წარმოება.
- 2.2. ეროვნული ბანკიდან საერთაშორისო ოპერაციების წარმოების უფლებაზე ლიცენზიის მიღების შემდეგ ბანკი უცხოური ვალუტით განახორციელებს შემდეგ ოპერაციებს:
- აწარმოებს კლიენტურის სავალუტო ანგარიშებს;
 - არასავაჭრო ოპერაციებს;
 - საკორესპონდენტო ურთიერთობას უცხოეთის ბანკებთან;
 - საერთაშორისო ანგარიშსწორებას, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან და იმპორტთან;
 - კლიენტთა სავალუტო ფონდების სახსრების გაცვლას, აგრეთვე სავალუტო სახსრების გაყიდვასა და შექმნას, მათ შორის აუქციონის წესით;

საკრედიტო ოპერაციებს საქართველოს სიკესპუბლიკის შიგნით სავალუტო სასსრების მოზიდვისა და დაბანდების გზით;

— საკრედიტო ოპერაციებს საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე;

— სხვა სავალუტო ოპერაციებს.

2.3 დეპოზიტების სახით იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ფულადი სახსრების მიღებისას ანგარიშების გახსნისა და მათი წარმოების წესსა და პირობებს ადგენს ბანკის გამგეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.4. ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობათა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მათ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთვალდებულებასა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას. ანაპრებზე საყოველთაოდ მიღებული წესებით შესრულებული ოპერაციები ხელშეკრულების გაფორმებას არ საჭიროებენ. ბანკის დაწესებულებათა მიერ ოპერაციების შეარულებს წესებსა და პირობებს ადგენს ბანკის გამგეობა.

2.5. ბანკის მიერ კრედიტის გაცემის წესს (დებულება, ინსტრუქცია და სხვა) ადგენს გამგეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გაცემული კრედიტის უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ფორმით, მ. შ. მსესხებლის კუთვნილი ქონების გირათით, რომელსაც შეიძლება ყალბა დაედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტიითა და სხვა.

ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტი უზრუნველყოფის გარეშეც (საბანკო კრედიტი).

2.6. ბანკი არ დებულობს კლიენტების პრეტენზიებს დამთავრებულ ოპერაციებზე საბანკო დოკუმენტების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ.

2.7. ბანკი მობილიზაციას უწევს საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების თავისუფალ ფულად სახსრებს და ინახავს მათ ანგარიშსწორების, მიმდინარე დეპოზიტურ და სხვა ანგარიშებზე.

2.8. საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და ფიზიკურ პირებთან საკრედიტო ურთიერთობებზე ბანკი ამყარებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების, დაკრედიტების პრინციპებს: ვადიანობის, მიზნობრიობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის მკაცრი დაცვის საფუძველზე.

III. კლიენტთა ინტერესების უზრუნველყოფა

3.1. ბანკი უზრუნველყოფს აღებული ვალდებულების თავისდროულ და მთლიანად შესრულებას საკუთარი და მოზიდული სახსრების რეგულირების გზით.

3.2. ბანკის ყველა მუშაკი ვალდებულია დაიცვას მათი კლიენტებისა და კორესპონდენტების ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაპრების საიდუმლოება.

3.3. ცნობები ბანკის კლიენტების (იურიდიული და ფიზიკური პირების, შესახებ წარმოადგენს საიდუმლოებას და ბანკი არის ამ საიდუმლოებათა და-

ცვის გარანტი. აღნიშნული ცნობები გაიცემა მხოლოდ შიქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3.4. ბანკში მოთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების ფულად სახსრებსა და სხვა ფაქტობრივად ყადაღის დადება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს ან საპრობიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით და საგამოძიებო ორგანოების დადგენილებით, ხოლო გადახდევინება — საარბიტრაჟო სასამართლოს ბრძანებით ან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლებით.

3.5. ფიზიკური პირების ფულადი სახსრებისა და სხვა ფაქტობრივების კონფისკაცია შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შესაბამისად, ხოლო გადახდევინების მიქცევა სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

IV. ბანკის უფლებები

4.1. დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით ბანკს დადგენილი წესით უფლება აქვს:

— ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტთან აქტიური და პასიური ოპერაციების ჩატარებისას დააწესოს საპროცენტო განაკვეთები, ასევე საკომისიო გასამრჯელოს ოდენობა მომსახურებისათვის.

— მიიღოს დასაქმდებელად საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ბალანსები და მათი გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე გაცემული კრედიტის უზრუნველყოფა

— დაქვემდებარებული ფილიალებისა და საბანკო დაწესებულებებიდან მიიღოს ანგარიშგებები, ბალანსები და საინფორმაციო მასალები ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

— მოითხოვოს დაქვემდებარებულ ფილიალებს და საბანკო დაწესებულებებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სრული დაცვა და ამ წესდების დებულებების მოთხოვნათა შესრულება.

— მოითხოვოს იმ მშენებლობის გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების ობიექტებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ბანკის საკუთარი სახსრების ან კრედიტების საფუძველზე;

— საკრედიტო ხელშეკრულების ვალდებულებათა დარღვევისათვის შეუწყვიტოს კრედიტის შემდგომი გაცემა, მოახდინოს საკრედიტო თანხის ვადაზე აღრე დაპრუნება;

— კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოაცხადოს საწარმოები და ორგანიზაციები გადახდისუნაროდ. წინადადებით შევიდეს ასეთი ორგანიზაციებისა და საწარმოების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

4.2. ბანკის დაწესებულებებს უფლება აქვთ ისარგებლონ სხვა ბანკებისა და საწარმო-ორგანიზაციების ფინანსური სახსრებით მათ შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. ბანკს უფლება აქვს დამოუკიდებლად შექმნას თავისი დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და ქვნიან ბანკის ერთიან სისტემას. ბანკის დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ბანკის გამგეობის მიერ დამტკიცებულ ნორმატიულ-ინსტრუქციული დოკუმენტებისა და ამ დაწესებულებების შესახებ დებულების შესაბამისად.

4.4. ბანკს უფლება აქვს ეროვნული ბანკის ნებართვით გახსნას თავისი ფილიალები და წარმოადგენლობა საზღვარგარეთ.

V. ბანკის პასუხისმგებლობა წარმოებულ ოპერაციებზე

5.1. ბანკის მიერ კლიენტებისათვის ფულადი სახსრების არასწორად გაცემის ან კლიენტების ანგარიშზე თანხის არასწორად ჩარიცხვის შემთხვევაში კლიენტის მიმართ მიყენებულ ზარალს ბანკი ანაზღაურებს თავისი ქონებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. იურიდიულ პირებთან და მოქალაქეებთან ბანკის უპრთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მათთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ურთიერთვალდებულებებს და მხარეთა ეკონომიკურ პასუხისმგებლობას.

5.3. ბანკსა და მის კლიენტებს შორის სადავო საკითხის წარმოშობისას ორივე მხარეს შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს ან სხვა ორგანოებს სადავო საკითხის ხსიათის შესაბამისად.

VI. ბანკის საკუთარი სახსრები

6.1. ბანკის ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ფონდები, აგრეთვე სხვა ფასეულობათა ღირებულება, რომლებიც ბანკის დამოუკიდებელ ბალანსში აისახება.

ბანკის ქონების ფორმირების წყაროს წარმოადგენს „საქართველოს რესპუბლიკის ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები, აგრეთვე სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

5.2. ბანკის შემოსავლები წარმოიქმნება ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ოპერაციების შესრულების შედეგად, აგრეთვე სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციასთან.

5.3. ბანკის ვასავლები შედგება საკრედიტო რესურსების მობილიზაციაზე გაწეული და აგრეთვე სხვა დანახარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ბანკისა და მისი დაწესებულებების საქმიანობის განხორციელებასთან.

5.4. ბანკის საკუთარი სახსრები შედგება საწესდებო, სარეზერვო, სადაზღვევო, საწარმოო და სოციალური განვითარების და სხვა ფონდებისაგან, რომლებიც ყალიბდება მოქმედი კანონმდებლობისა და წინაშეაღმდეგარ წესდების შესაბამისად. ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების დებულებას ამტკიცებს ბანკის გამგეობა.

6.5. ბანკის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ და შეადგენს 300 მილიონ მანეთს.

6.6. საწესდებო კაპიტალი სრულად დაფარული უნდა იქნეს წესდების რეგისტრაციის მომენტიდან 1 წლის განმავლობაში. პირველი ორი თვის განმავლობაში ბანკს დროებით ანგარიშსწორების ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს მთლიანი საწესდებო კაპიტალის არა ნაკლებ 30 პროცენტი.

6.7. ბანკის საწესდებო კაპიტალის გასრდა შესაძლებელია დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.8. ბანკის ოპერაციების შესაძლებელი ზარალის დასაფარავად და მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ბანკი ქმნის დაზღვევის საკუთარ ფონდს საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტის ოდენობით, სადაც ყოველწლიურად გადაირიცხავს ბანკის მოგების 10 პროცენტს, საწესდებო ფონდის ოდენობის მიღწევამდე, რითაც სახელმწიფო გარანტიები შესაბამის ნაწილში შეიცვლება ბანკის გარანტიით.

6.9. ბანკის საკრედიტო რესურსებს წარმოადგენს საკუთარი საშუალებები, კლიენტების ანგარიშებზე ანაზღაურების ნაშთები, დეპოზიტები და სხვა ბანკების კრედიტები, სხვა მოზიდული საშუალებები, გაუნაწილებელი მოგება და კანონით ნებადართული სხვა სახსრები.

6.10. ბანკს უფლება აქვს შექმნას საავალუტო ანარიცხების ფონდი მისი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე და გამოიყენოს ის თავისი საპირიბებისათვის გამგეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე.

VII. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა

7.1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკი — საქბინსოტბანკი შედგება: სათაო ბანკის (გამგეობა) ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამმართველოებისაგან, საქალაქო და რაიონული განყოფილებებისაგან მათი ფილიალებითა და სააგენტოებით.

ბანკს სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე დადგენილი წესის მიხედვით შეუძლია შექმნას ბანკის ახალი დაწესებულებები.

7.2. ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა ბანკის გამგეობა, რომლის წევრების რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით.

ბანკის გამგეობის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები.

7.3. ბანკის გამგეობა, როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო:

— კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს ბანკის ცენტრალური აპარატის და დაწესებულებების საქმიანობას;

— განსაზღვრავს ბანკის ფუნქციონირების სტრატეგიულ მიმართულებებს და მათ შესაბამისად ასრულებს უზნიშვნელოვანეს ოპერატიულ ფუნქციებს;

— განიხილავს და ამტკიცებს ნორმატიულ-მეთოდური ხასიათის დოკუმენტების პროექტებს ბანკის დაწესებულებათა საქმიანობის ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორც არის დაწესებულებების წესდებები (დებულებები), კლიენტების მომსახურება, საბანკო საქმის სრულყოფისა და განვითარების ღონისძიებები, უნაღდო ანგარიშსწორებისა და დაკრედიტების, კაღრების მომზადებისა და დანიშნვის ღონისძიებები;

— ამტკიცებს ხელმძღვანელი მუშაკებისა და თანამშრომლების სამსახურებრივი ფუნქციების შესახებ დებულებებს;

— წყვეტს სამეურნეო-კომერციული ანგარიშის საკითხებს, ამუშავებს საკრედიტო-საანგარიშსწორებო საქმიანობის პროგნოზირების, აღრიცხვისა და ანგარიშების, შიდასაბანკო კონტროლის, საკუთრების დაცულობის უზრუნველყოფის და საბანკო ოპერაციების ავტომატიზაციის მეთოდოლოგიას;

— განიხილავს ბანკის ნაერთ საკრედიტო და საფინანსო გეგმებს, ამტკიცებს დაქვემდებარებული დაწესებულებების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე შემნახველი ბანკის ნაერთ ბალანსს.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე განსაზღვრავს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, შტატებს, შრომის ანაზღაურების პირობებს და მოცულობას, აგრეთვე დაწესებულებებში შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემას;

— წყვეტს განსახილველად გამოტანილ საბანკო საქმიანობის სხვა საკითხებს.

7.4. ბანკს სათავეში უდგას გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით.

7.5 ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ასევე, თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით.

7.6. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია ბანკზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისათვის.

თავის ფუნქციების შესრულებისას მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად, ბანკის გამგეობის თავმჯდომარე:

— ბანკის საქმიანობის საკითხებზე გამოსცემს ყველა საბანკო დაწესებულებისათვის აუცილებელ შესასრულებელ ნორმატიულ დოკუმენტებს;

— განკარგავს ბანკის სახსრებსა და ქონებას, ბანკის საკუთარი სახსრების ფარგლებში იძლევა მინდობილობებს, გარანტიებს და საბანკო პრაქტიკაში მიღებულ თავდებობის სხვადასხვა ფორმებს;

— განსაზღვრავს ბანკს დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ინოვაციების ტიპობრივ სტრუქტურას, ამტკიცებს ბანკის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;

— ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის თანამდებობის პირებს;

— ავალებს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების განხილვას ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელებს;

— ორგანიზაციას უქეთებს ბანკის გამგეობის მუშაობას, თავმჯდომარეობს მის სხდომებზე.

ბანკის განგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე, ან ერთ-ერთი მოადგილე, ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

7.7. მოადგილეებს შორის ფუნქციებს ანაწილებს თავმჯდომარე.

VIII. ბანკის აღრიცხვა და ანგარიშგება

8.1. ბანკი აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას და წარუდგენს ანგარიშს ეროვნულ ბანკს დადგენილი წესის შესაბამისად.

8.2. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

8.3. ბანკი აღგენს კვარტალურ (კოლეგიის სპეციალური გადაწყვეტილებების შემთხვევაში) და წლიურ ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშს დაწესებულ ვადებში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით.

8.4 ბანკის საოპერაციო (საფინანსო) წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

IX. ბანკის საქმიანობის რევიზია და კონტროლი

9.1. ბანკის დაწესებულებების საქმიანობის რევიზიას ახორციელებს ბანკის სარევიზიო სამსახური დადგენილი წესის შესაბამისად. ეს სამსახური ანგარიშვალდებულია ბანკის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის წინაშე.

9.2. ბანკის მიერ კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ან მისი დავალებით აუდიტორული ორგანიზაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

X. სხვა დებულებები

10.1. ამ წესდებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება ბანკის წინადადებით და მათ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

10.2 ბანკის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

220 საქართველოს აგარაჟულ უნივერსიტეტში სახელოვანი სტიპენდიების დაწესების შესახებ

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და საქართველოს აგარაჟული უნივერსიტეტის წინადადება და დაუწესდეთ აღნიშნული უნივერსიტეტის გამორჩეულ სტუდენტებს გამოჩენილ პიროვნებათა 15 სახელობითი სტიპენდია, თითოეული 200 მანეთის ოდენობით;

— აგრონომიულ ფაკულტეტზე — ივანე ფაუსტის ძე სარიშვილის, დიმიტრი პანტელეიმონის ძე ვედევანიშვილის, ლეონიდე პოლივექტოს ძე კალანდაძის, ლეონარდ ლეონარდის ძე დეკაპრელევიჩის, იულონ ნიკოლოზის ძე ლომოურის სახელობის;

— მებალეობა-მევენახეობისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ნიკოლოზ მიხეილის ძე ხომიშურაშვილის, სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილის სახელობის;

სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე — სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანის, ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილის სახელობის;

— ეკონომიკის ფაკულტეტზე — ივანე ლეონტის ძე ჯაშის სახელობის;

— მექანიზაციის ფაკულტეტზე — კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბის, ივანე მიხეილის ძე ხობლოვის, ვახტანგ ვასილის ძე მახალდიანის სახელობის; ელექტროფიკაციის ფაკულტეტზე — ალექსანდრე იოსების ძე დიდებულის სახელობის;

პედრომედიცინის ფაკულტეტზე — ივანე ალექსის ძე ჩხენკელის სახელობის.

საქართველოს რესპუბლიკის
 პრემიერ-მინისტრის
 მოადგილე

მ. ოგანიაძე

საქართველოს რესპუბლიკის
 მინისტრთა კაბინეტის
 კანცელარიის მმართველის
 მოადგილე

3. შუბლაძე

221 მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო ფონდის კომისიის მოსალოდნელი შემოსავლის წარმოდგენის და კონკურსზე დაშვებული შემოსავლის სიის პრესაში გამოქვეყნების ვადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება და მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიების მოსალოდნელი, საკონკურსო ნაშრომების წარმოდგენის ვადა გაგრძელდეს 1992 წლის 15 იანვრამდე, ხოლო კონკურსზე დაშვებული შრომების სიის რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნების ვადა — 1992 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოადგილე

მ. ოგანიძე

საქართველოს რესპუბლიკის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

ვ. შუბლაძე

ქ. თბილისი, 1991 წ. 19 დეკემბერი, № 960

222 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემოსავლის განისაზღვრის ვადების დაშვების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

დაიტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემოსავლის განისაზღვრის თანდართული წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოადგილე

მ. ოგანიძე

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

ვ. შუბლაძე

ქ. თბილისი, 1991 წ. 19 დეკემბერი, № 964



დაზღვევის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტროს
კაბინეტის 1991 წლის 19 დეკემბრის
№ 964 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკი (შემდგომში — შემნახველი ბანკი) არის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკი და წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებას.

1.2. შემნახველი ბანკი სპეციალიზებულია საშემნახველო საქმის სრულყოფა-განვითარებაზე, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და სპეციალური სახელმწიფო სოციალური პროგრამების რეალიზაციის უზრუნველყოფა-მომსახურებაზე.

1.3. შემნახველი ბანკის დამფუძნებელია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

შემნახველი ბანკის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელია: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 4.

1.4. შემნახველი ბანკის მთავარი ამოცანებია: საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საშემნახველო საქმის ორგანიზაცია, მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების (მათ შორის კონვერტირებადი ვალუტის) ანაბრებში და ფასიან ქაღალდებში მოზიდვა; მოსახლეობის დაქრედიტების სოციალურ-ეკონომიკურად ეფექტიანი ფორმების ფართო გამოყენება-განვითარება; მოქალაქეთა საკასო-საანგარიშსწორებო და საკრედიტო მომსახურების პროგრესული სახეობების დანერგვა-ამოქმედება; თავისი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების გადიდება და გამოყენება სახელმწიფოს ინტერესებისა და შემნახველი ბანკის შემდგომი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

1.5. მთავარი ამოცანების წახმატებით განხორციელების მიზნით შემნახველი ბანკი უფლებამოსილია სპეციალიზაციის პარალელურად იღვასოს სხვა ამოცანების გადასაწყვეტად, სახელდობრ: მოზიდოს იურიდიული პირების თავისუფალი ფულადი სახსრები, გასცეს მათზე კომერციული კრედიტები, განხორციელოს მათი საკასო-საანგარიშებო მომსახურება და აწარმოოს სხვა საბანკო და არასაბანკო საქმიანობა კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.6. შემნახველი ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, არის მის იურისდიქციაში შენავალი განცალკევებული ქონების მესაკუთრე, გააჩნია ბუღედი თავისი სახელწოდებისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ბლანკო საკუთარი ემბლემის აღმკვედრითა და აქვს სხვა უფლებები და რეკვიზიტები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.7. შემნახველი ბანკი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი საბანკო სისტემის სუბიექტს, მოქმედებს საერთო დამოუკიდებლობისა

და თვითანზღაურების პრინციპებით, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონებით „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საქრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ წესდებით.

1.8. შემნახველი ბანკი კოლეგიის მიერ დამტკიცებული ნორმატიულ-ინსტრუქციული დოკუმენტების (შემნახველი ბანკის დაწესებულებების შესახებ დებულება, ამ დაწესებულებათა წესდებები, უფლებათა გადაცემის შესახებ სპეციალური პრინციპები, დადგენილებები და სხვა) მეშვეობით, საკუთარი ფუნქციების ნაწილს გადაუნაწილებს, ხოლო ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებამოსილებას გადასცემს თავის დაწესებულებებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

1.9. შემნახველი ბანკი და მისი დაწესებულებები დადგენილი წესით იხდიან სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სხვა გადასახადებებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.10. შემნახველი ბანკის განყოფილებებს უფლება აქვთ ისარგებლონ სხვა ბანკებისა და წარმოება-დაწესებულებების ფინანსური სახსრებით, მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

1.11. შემნახველი ბანკის დაწესებულებები დეპოზიტებად დებულობენ იმ იურიდიული პირების (როგორც წესი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების) სახსრებს, რომლის რეგლამენტაცია განისაზღვრება შემნახველი ბანკის კოლეგიის მიერ დამტკიცებული წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.12. შემნახველი ბანკი პასუხისმგებელია კლიენტებზე მიყენებული ზარალისათვის, ოთხ იგი გამოწვეულია მისი დაწესებულებების მიზნით. შემნახველი ბანკი არ დებულობს კლიენტების პრეტენზიებს დამთავრებულ ოპერაციებზე საბანკო დოკუმენტების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ.

1.13. შემნახველი ბანკის დაწესებულებებზე მინდობილი მოსახლეობის ფულადი და სხვა ფასეულობების დაცულობის, მათი შენახვის პირველი მოთხოვნისთანავე გაცემის სრულ გარანტიას იძლევა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შემნახველი ბანკის სტაბილური ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური უზრუნველყოფის საფუძველზე.

1.14. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემნახველი ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

— საშემნახველო საქმის განვითარების, მოსახლეობის, აგრეთვე იურიდიული პირების საბანკო მომსახურების განვითარების პრინციპული საფუძველენის შემუშავება, ამ სფეროში სახელმწიფო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობა;

— მოქალაქეთა საბანკო მომსახურების სფეროში სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ორგანიზაცია, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ბანკის დაწესებულებათა საგადასახადო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ბრუნვის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

— შემნახველი ბანკის მიერ მოსახლეობისა და იურიდიული პირების მომსახურების ოპერაციების ჩატარების საერთო მეთოდის (ზოგადი დებულებები, ინსტრუქციები, წესები და ა. შ.) დამუშავება;

— შემნახველი ბანკის დაწესებულებებში გამოყენებული ტექნიკის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება;

— საერთო რესპუბლიკური გამოყენების დოკუმენტაციაზე სტანდარტების დამუშავება;

— საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დადგენა. შემნახველი ბანკის ერთიანი დამოუკიდებელი ბალანსის შედგენა;

— შემნახველი ბანკის დაწესებულებათა ქსელისათვის კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ორგანიზაცია;

— შემნახველი ბანკის განყოფილებებისათვის სპეციალიზაციის სფეროში საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ერთიანი ზოდიდებები ან მინიმალური და მაქსიმალური ზღვრის დაწესება;

— შემნახველი ბანკის დაწესებულებების უზრუნველყოფა უახლესი ინფორმაციით და დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოკრება ერთიან სისტემაში;

— ფასიანი ქაღალდების ნიშნების, საშემნახველო წიგნაკებისა და სხვა ფასიანი ბლანკების წარმოების ორგანიზაცია საკუთარი ბაზის ან ხელშეკრულებების საფუძველზე, ამ ქაღალდებითა და ბლანკებით დაწესებულებათა უზრუნველყოფა და ცენტრალიზებულ სამუშაოებზე ქვემდგომი დაწესებულებების შეკვეთების შესრულება;

— სხვა ფუნქციები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

1.15. შემნახველი ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები გამოიყენება მოსახლეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და იურიდიულ პირებზე მოკლევადიანი, როგორც წესი, ერთწლიანი (განსაკუთრებულ შემთხვევებში ორი წლის ვადით) კომერციული კრედიტის გაცემისათვის, აგრეთვე კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა ოპერაციებისათვის, რომელთა განხორციელების წესსა და პირობებს ადგენს შემნახველი ბანკის კოლეგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.16. შემნახველი ბანკის მიერ მოზიდული სახსრების გამოყენებისას უზრუნველყოფილია სახსრების დაცულობისა და მენაბრეთა მიმართ ვალდებულებების თავისდროული შესრულების პრინციპების დაცვა სპეციალური მარეგლამენტბელი წესებით.

1.17. შემნახველი ბანკი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად განაზღვრავს საანაბრო, სადეპოზიტო და სხვა ოპერაციების წარმოების პირობებსა და წესს.

II. ბანკის ოპერაციები და მასი ურთიერთობა კლიენტებთან

2.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემნახველი ბანკი დებოზიტებში მოიზიდავს და განათავსებს იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრებს, მოიზიდავს და გასცენს კრედიტებს, კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების დავალებით ახორციელებს ანგარიშსწორებასა და კლიენტთა საკასო მომსახურებას, აგრეთვე ახდენს შემდეგ ოპერაციებს:

ა). კლიენტების (მოქალაქეთა, იურიდიულ პირთა, აგრეთვე ბანკ-კორესპონდენტთა) ანგარიშების წარმოება;

ბ). საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (ჩეკები, აკრედიტივები, თამასუქები, აქციები, ობლიგაციები და სხვა) გამოშვება და კლიენტების დავალებით მათი ყიდვა-გაყიდვისა და შენახვის ოპერაციების წარმოება;

გ). სახელმწიფო საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, გაყიდვა და შენახვა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების წარმოება;

დ) თავდებების გარანტიებისა და სხვა ვალდებულებების გაცემა, რომელთა შესრულება გათვალისწინებულია ფულად ფორმაში;

ე). კლიენტების დავალებით სამინდობილობო ოპერაციების წარმოება (სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდების მართვა და სხვა);

ვ). ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან უცხოური ვალუტის შექმნა და გაყიდვა;

ზ). საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევიდან მოთხოვნის უფლების შექმნა, ასეთი მოთხოვნების შესრულებაზე რისკის აღება და ამ მოთხოვნის ინკასაცია (ფექტორინგი);

თ). საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების შექმნა და იჯარით გაცემა (ლიზინგი);

ი) საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების, აგრეთვე მათგან დამზადებულ ნაკეთობათა შექმნა და გაყიდვა;

კ) ანგარიშებზე და ანაბრებზე ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება, აქრეთვე ამ ფასეულობათა მიხედვით სხვა ოპერაციები საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;

ლ). საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

მ). სხვა ოპერაციები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

2.2 დებოზიტების სახით იურიდიულ პირთა ფულადი სახსრების მიღებისას ანგარიშების გახსნისა და მათი წარმოების წესსა და პირობებს ადგენს შემნახველი ბანკის კოლეგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3. ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობათა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მათ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთვალდებულებასა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას. ანაბრებზე საყოველთაოდ მიღებული წესებით შესრულებული ოპე-

რაციები ხელშეკრულების გაფორმებას არ საქიროებენ. შემნახველი ბანკის დაწესებულებათა მიერ ოპერაციების შესრულების წესებსა და პირობებს ადგენს შემნახველი ბანკის კოლეგია.

2.4. შემნახველი ბანკის მიერ კრედიტის გაცემის წესს (დებულება, ინსტრუქცია და სხვა) ადგენს კოლეგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გაცემული კრედიტის უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ფორმით, მ. შ. მსესხებლის კუთვნილი ქონების გირაოთი, რომელსაც შეიძლება ყადაღა დაედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტია-თავდებობით, საბანკო პრაქტიკაში მიღებული ვალდებულებებითა და სხვა.

შემნახველ ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტი უზრუნველყოფის გარეშეც (საბლანკო კრედიტი).

2.5. ბანკის ყველა მუშაკი ვალდებულია დაიცვას მათი კლიენტებისა და კორესპონდენტების ოპერაციებია, ანგარიშებისა და ანაბრების საიდუმლო.

2.6. ცნობები შემნახველი ბანკის კლიენტების (იურიდიული და ფიზიკური პირების) შესახებ წარმოადგენს საიდუმლოებას, შემნახველი ბანკი არის ამ საიდუმლოებათა დაცვის გარანტი, აღნიშნული ცნობები გაიქცემა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2.7. ანგარიშებისა და ანაბრების მფლობელთა სიკვდილის შემთხვევაში ცნობები გაიქცემა გარდაცვლილი მფლობელის მიერ ბანკისადმი მიცემულ ანდერძში მითითებულ პირებზე, სახელმწიფო სანოტარო კანტორებზე, გარდაცვლილ მენაბრეთა მემკვიდრეობის ან ქონების გაყოფის შესახებ მათს წაბრებებში მყოფ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, აგრეთვე უცხოეთის საკონსულო დაწესებულებებზე.

2.8. ბანკში მოთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგამომძიებლო ან საარბიტრაჟო ორგანოების დადგენილებით, ხოლო გადახდევინება შესაძლებელია არბიტრაჟის ორგანოს ბრძანებით ან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლებით.

2.9. ფიზიკური პირების ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობების კონფისკაცია შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან კონფისკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების შესაბამისად.

2.10. შემნახველი ბანკი არასპეციალიზებულ საბანკო ოპერაციებზე პრაქტიკული განაკვეთების, საკომისიო გასამრჯელოს მინიმალური და მაქსიმალური საზღვრები და სხვა დგინდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

II. შემნახველი ბანკის მენაბრეთა უფლებები

3.1. ბანკის მენაბრეებად ითვლებიან სტესტბლიკის და უცხოეთის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, არასრულწლოვანები, რომელთაც

ბანკში გახსნილი აქვთ საშემნახველო ანაბრები ან ფლობენ შემნახველი ბანკის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს.

3.2. შეანაბრეს უფლება აქვს ჰქონდეს ბანკში საშემნახველო ანაბრის ნებისმიერი რაოდენობა.

საშემნახველო ანაბრის პირველადი შესატანის მინიმალური თანხა დგინდება შემნახველი ბანკის კოლეგიის მიერ.

3.3. შეანაბრებებს შეუძლიათ განკარგონ თავიანთი ანაბრები, მიიღონ შემოსავალი ანაბრებზე პროცენტების, ან ბანკის მიერ შემოთავაზებული სხვა ფორმით, მოახდინონ უნაღლო ანგარიშსწორებები.

3.4. შეანაბრეს უფლება აქვს ჰქონდეს სახელობითი ანაბარი, ან ანაბარი წარმოდგენს.

სახელობითი ანაბრის მფლობელად ითვლება პირი, რომლის სახელზეც გახსნილია საბანკო ანგარიში და გაცემულია საშემნახველო წიგნაკი. ამასთან ანაბრის გაცემა ხდება მხოლოდ შეანაბრეზე ან შეანაბრის კანონიერ წარმომადგენელზე შესაბამისი საბუთებისა და საშემნახველო წიგნაკის წარმოდგენის შემდეგ.

წარმოდგენზე ანაბრის შეანაბრედ ითვლება ყველა ფიზიკური პირი, რომლისგანაც ბანკის მიერ მიღებულია ანაბარი ვინაობის მონაცემების დაფიქსირების გარეშე და გაცემულია საშემნახველო წიგნაკი მასზე თანდართული საკონტროლო ფურცლით. ამ სახის ანაბრის გაცემა წარმოებს საშემნახველო წიგნაკისა და მასზე თანდართული საკონტროლო ფურცლის წარმოდგენის შემდეგ, პიროვნების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის გარეშე.

3.5. ანაბრის სახეობებში ცვლილებების შეტანის, ძველის გაუქმების ან ახლის შემოღების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი) შემნახველი ბანკის წარდგინებით.

3.6. შეანაბრე შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პირი.

არასრულწლოვანი, რომელმაც შეიტანა ანაბარი თავის სახელზე არის ამ ანაბრის დამოუკიდებელი განმკარგულებელი.

არასრულწლოვანის სახელზე სხვის მიერ შეტანილი ანაბრის განმკარგულებელი შეიძლება იყოს:

ა). 15 წლის ასაკამდე — მშობლები ან არასრულწლოვანის სხვა კანონიერი წარმომადგენლები;

ბ). 15 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ — თვით არასრულწლოვანი მხოლოდ მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

3.7. შეანაბრეს შეუძლია იყოს ანაბრის განმკარგულებელი, როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის საშუალებითაც, რომელზეც შეანაბრემ უნდა გააფორმოს შესაბამისი მინდობილობა.

3.8. შეანაბრეს შეუძლია ბანკს მისცეს განკარგულება (ანდერძი) იმის შესახებ, რომ თავისი სიკვდილის შემთხვევაში ბანკმა გადასცეს ანაბარი ნებისმიერ პიროვნებას, სახელმწიფოს ან სხვა იურიდიულ პირს. ანაბარს, რომელზეც არ

არის გაკეთებული რაიმე განკარგულება, მენაბრის სიკვდილის შემთხვევაში, ბანკი გასცემს მემკვიდრეებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მენაბრის გარდაცვალების შემთხვევაში ანაბაზე განკარგულებისა და მინდობილობის გაფორმების წესებს ადგენს ბანკის კოლეგია.

IV. ბანკის პასუხისმგებლობა წარმოებულ ოპერაციებზე

4.1. ბანკის მიერ კლიენტებზე ფულადი სახსრების არასწორად გაცემი, ან კლიენტების ანგარიშზე თანხის არასწორად ჩარიცხვა შემთხვევაში კლიენტის მიმართ მიყენებული ზარალი ანაზღაურდება ბანკს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან ბანკის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მათთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ურთიერთვალდებულებებს და მხარეთა ეკონომიკურ პასუხისმგებლობას.

4.3. შემნახველ ბანკსა და მის კლიენტურას შორის სადავო საკითხის წარმოშობისას: ორივე მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს, სასამართლოს ან სხვა ორგანოებს სადავო საკითხის ხასიათის შესაბამისად.

V. შემნახველი ბანკის საკუთარი სახსრები

5.1. შემნახველი ბანკის ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ფონდები, აგრეთვე სხვა ფასეულობათა ღირებულება, რომლებიც ბანკის დამოუკიდებელ ბალანსში აისახება.

ბანკის ქონების ფორმირების წყაროს წარმოადგენს „საქართველოს რესპუბლიკის ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები, აგრეთვე სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

5.2. შემნახველი ბანკის შემოსავლები წარმოიქმნება „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ოპერაციების შესრულების შედეგად, აგრეთვე სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციასთან.

5.3. შემნახველი ბანკის ვასავლები შედგება საკრედიტო რესურსების მობილიზაციაზე გაწეული და აგრეთვე სხვა დანახარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია შემნახველი ბანკისა და მისი დაწესებულებების საქმიანობის განხორციელებასთან.

5.4. ბანკის საკუთარი სახსრები შედგება საწესდებო, სარეზერვო, სადაზღვევო, საწარმოო და სოციალური განვითარების და სხვა ფონდებისაგან, რომლებიც ყალიბდება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად. ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების დებულებას ამტკიცებს შემნახველი ბანკის კოლეგია.

5.5. ბანკის საწესდებო ფონდი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის მიერ და შეადგენს 300 მილიონ მანეთს.

5.6 საწესდებო ფონდი სრულად დაფარული უნდა იქნეს წესდების რეგისტრაციის მომენტთან 1 წლის განმავლობაში. პირველი ორი თვის განმავლობაში ბანკის დროებით ანგარიშსწორების ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს მთლიანი საწესდებო ფონდის არა ნაკლებ 30 პროცენტი.

5.7. ბანკის საწესდებო ფონდის გაზრდა შესაძლებელია დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

5.8. ბანკის ოპერაციების შესაძლებელი ზარალის დასაფარავად და მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შემნახველი ბანკი ქმნის ანაბრების დაზღვევის საკუთარ ფონდს, საწესდებო ფონდის 10 პროცენტის ოდენობით, სადაც ყოველწლიურად გადაირიცხავს ბანკის მოგების 10 პროცენტს, საწესდებო ფონდის ოდენობის მიღწევამდე, რითაც სახელმწიფო გარანტიები შესაბამის ნაწილში შეიცვლება ბანკის გარანტიით.

5.9. შემნახველი ბანკის საკრედიტო რესურსებს წარმოადგენს საკუთარი საშუალებები, კლიენტების ანგარიშებზე ანაბრების ნაშთები, დეპოზიტები და სხვა ბანკების კრედიტები, სხვა მოზიდული საშუალებები, გაუნაწილებელი მოგება.

VI. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა.

6.1. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკი შედგება: ცენტრალური აპარატისაგან (გამგეობა, დეპარტამენტები), ავტონომიური რესპუბლიკების სამმართველოებისაგან, საქალაქო და რაიონული განყოფილებებისაგან, მათი ფილიალებითა და სააგენტოებით.

შემნახველ ბანკს სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე დადგენილი წესის მიხედვით შეუძლია შექმნას ბანკის ახალი დაწესებულებები.

6.2. შემნახველი ბანკის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს შემნახველი ბანკის გამგეობა, რომლის წევრების რაოდენობისა და პერსონალური შემადგენლობის (ან მათი ცვლილებების შეტანის) დამტკიცება ხდება მინისტრთა კაბინეტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წარდგინებით.

6.3. შემნახველი ბანკის გამგეობა, როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო:

- ა) კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს შემნახველი ბანკის ცენტრალური აპარატისა და დაწესებულებების საქმიანობას;
- ბ) განსაზღვრავს ბანკის ფუნქციონირების სტრატეგიულ მიმართულებებს და მათს შესაბამისად აარულებს უმნიშვნელოვანეს ოპერატიულ ფუნქციებს;
- გ) განაზილავს და ამტკიცებს ნორმატიულ-მეთოდური ხასიათის დოკუმენტების პროექტებს შემნახველი ბანკის დაწესებულებათა საქმიანობის ისეთ

ძირითად საკითხებზე, როგორცაა დაწესებულებების წესდებები (დებულებები), მოსახლეობისა და სხვა კლიენტების მომსახურება, საშემანხველო საქმის სრულყოფისა და განვითარების ღონისძიებები, უნაღდო ანგარიშსწორებისა და დაკრედიტების, კაღრების მომზადებისა და დანიშვნის ღონისძიებები;

დ) წყვეტს სამეურნეო-კომერციული ანგარიშის საკითხებს, ამუშავებს საკრედიტო-საანგარიშსწორებო საქმიანობის პროგნოზირების, აღრიცხვისა და ანგარიშგების, შიდასაბანკო კონტროლის, საკუთრების დაცულობის უზრუნველყოფის და საბანკო ოპერაციების ავტომატიზაციის მეთოდოლოგიას;

ე) განიხილავს ბანკის ნაერთ საკრედიტო და საფინანსო გეგმებს, ამტკიცებს დაქვემდებარებული დაწესებულებების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე შემნახველი ბანკის ნაერთ ბალანსს;

ვ) მოქმედს კანონმდებლობის შესაბამისად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე განსაზღვრავს ცენტრალურში აპარატის სტრუქტურას, შტატებს, შრომის ანაზღაურების პირობებს და მოცულობას, აგრეთვე დაწესებულებებში შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემას;

ზ) წყვეტს განსახილველად გამოტანილ საბანკო საქმიანობის სხვა საკითხებს.

6.4. შემნახველ ბანკს სათავეში უდგას გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

6.5. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია ბანკს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისათვის.

თავისი ფუნქციების შესრულებისას მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე:

ა) ბანკის საქმიანობის საკითხებზე გამოსცემს ყველა საბანკო დაწესებულებისათვის აუცილებელ შესასრულებელ ნორმატიულ დოკუმენტებს;

ბ) განკარგავს ბანკის სახსრებსა და ქონებას, ბანკის საკუთარი სახსრების ფარგლებში იძლევა მინდობილობებს, გარანტიებს და საბანკო პრაქტიკაში მოღებულ თავდებობის სხვადასხვა ფორმებს;

გ) განსაზღვრავს ბანკს დაქვემდებარებული დაწესებულებების და ორგანიზაციების ტიპობრივ სტრუქტურას, ამტკიცებს ბანკის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;

დ) ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის თანამდებობრივ პირებს;

ე) ავალებს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების განხილვას ცენტრალური აპარატის ხელშეღვენილებს;

ვ) ორგანიზაციის უკეთეს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობის მუშაობას, თავმჯდომარეობს მის სხდომებზე.

შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გამგეობის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

6.6. თავმჯდომარის მოადგილეების, სხვა ხელმძღვანელი მუშაკებისა და თანამშრომლების სამსახურებრივი ფუნქციების შესახებ დებულებას ამტკიცებს შემნახველი ბანკის გამგეობა.

VII. შემნახველი ბანკის აღრიცხვა და ანგარიშგება

7.1. შემნახველი ბანკი აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას და წარუდგენს ანგარიშს წინისტრთა კაბინეტს დადგენილი წესების შესაბამისად.

7.2. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

7.3. შემნახველი ბანკი ადგენს კვარტალურ (გამგეობის სპეციალური გადაწყვეტილების შემთხვევაში) და წლიურ ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშს დაწესებულ ვადებში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტები ექვემდებარება პუბლიკაციას, მასში წარმოდგენილი მონაცემების სისწორის აუდიტორიული ორგანიზაციის მიერ დამტკიცების შემდეგ.

7.4. შემნახველი ბანკის საოპერაციო (საფინანსო) წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

VIII. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის საქმიანობის რევიზია და კონტროლი

8.1. შემნახველი ბანკის დაწესებულებების საქმიანობის რევიზიას ახორციელებს ბანკის სარევიზიო აპარატი, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. ეს აპარატი ანგარიშვალდებულია შემნახველი ბანკის გამგეობისა და ბანკის გამგეობის თავმჯდომარის წინაშე.

223 მეურნე სუბიექტთა აღრიცხვის სრულყოფის შესახებ

საანგარიშსწორებო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ მეურნე სუბიექტთა აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული საბანკო დაწესებულებათა მიერ საბანკო ანგარიშების გახსნა, ყოველგვარი ფინანსური ოპერაციების წარმოება იმ მეურნე სუბიექტთათვის, რომელთაც დადგენილი წესის თანახმად არ გაუვლიათ აღრიცხვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებულ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტში და არ გააჩნიათ შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდები.

ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საბანკო დაწესებულებებისათვის შესაბამისი დავალების მიცემა.

ამ დადგენილების მიღებამდე რეგისტრირებულმა მეურნე სუბიექტებმა, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდები, უზრუნველყონ აღნიშნული კოდების აღება 1992 წლის 1 თებერვლამდე.

2. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ მარეგისტრირებელმა ორგანოებმა, როგორც წესი, შესაბამისი მოწმობა გასცენ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში მეურნე სუბიექტის აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ, აგრეთვე აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებულ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს საწარმოთა ლიკვიდაციის ყოველი შემთხვევის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებულმა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ მეურნე სუბიექტთა სრული რეგისტრის შედგენა 1992 წლის I კვარტალის ბოლომდე.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს რესპუბლიკის ყველა საბანკო დაწესებულების მიერ მათთან ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშების მქონე მეურნე სუბიექტთა სამეურნეო რეკვიზიტების წარდგენა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებულ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტში, თანდართული ფორმის მიხედვით.

5. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის დაფინანსება ამ დადგენილების მესამე პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა განსახორციელებლად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოადგილე

მ. ომანიძე

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

პ. 'მუზა'აძე

ქ. თბილისი, 1991 წ. 19 დეკემბერი, № 965



_____ ში ანგარიშსწორებდა ანგარიშის მქონე
საბანკო დაწესებულების სრული დასახელება

იურიდიულ პირთა ნუსხა

1991 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით

ფორმა № 04018051-ის მიხედვით		ხელმძღვანელის		სსრკ საბანკოს 1990 წლის 4 აპრილის № 291 მითითების მიხედვით			იურიდიული პირი იმყოფება (1), ან არ იმყოფება (0) მოცემული რაიონის ტერიტორიაზე
იურიდიული პირის სრული დასახელება	მისამართი	სახელი, გვარი	ტელეფონის №	საბალანსო ანგარიშის №	დარგის შიფრი	აქრადიტი	

224 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ავიაკომპანია „ივერიას“ შემოსის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონის საფუძველზე და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცისა და საჰაერო ტრანსპორტის ფუნქციონირების სახელმწიფო და სამეურნეო რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს წინადადება და აღნიშნული სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას სახელმწიფოავიაკომპანია „ივერია“.

2. დამტკიცდეს სახელმწიფო ავიაკომპანია „ივერიის“ თანდართული წესდება.

3. სახელმწიფო ავიაკომპანია „ივერიას“ სამეურნეო გამგებლობაში გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი საავიაციო ტექნიკა, სხვა ძირითადი ფონდები და საბრუნავი სახარები, რითაც უზრუნველყოფილ იქნეს ავიაკომპანიის თვითდაფინანსების პრინციპზე დამყარებული სამეურნეო საქმიანობა.

4. დაწესდეს:

— საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციისას სამსახურებრივი საქმის წარმოება ქართულ ენაზე, ხოლო საჰაერო მიმოსვლის მართვის — ინგლისურ და რუსულ ენებზე;

— საჰაერო ტრანსპორტის სიმბოლიკისათვის საქართველოს რესპუბლიკის დროშისა და გერბის, საკუთარი ემბლემის, ასევე სარეგისტრაციო ნომრის გამოყენება.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით აფორმებს კონტრაქტს ავიაკომპანიის გენერალურ დირექტორთან ამ თანამდებობის დაკავების შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის ფუნქციონირება წარიმართოს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო კოდექსის მიღებამდე ავიაკომპანია მოქმედებს ყოფილი სსრ კავშირის საჰაერო კოდექსით, ასევე საერთაშორისო ნორმატიული აქტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო ფრენას და შეესაბამებიან საჰაერო ტრანსპორტის მფლობელთა ინტერესებს.

7. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ (ა. ჩხეიძე) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 15 დღის ვადაში წარმოუდგინოს განსახილველად წინადადება საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს შემადგენლობაში სპეციალური ავიასამსახურის შექმნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
ჰრემიერ-მინისტრის
მოადგილე

ა. ომანიძე

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველის
მოადგილე

ვ. შუბლაძე

ტ. თბილისი, 1991 წ. 20 დეკემბერი, № 975

დამტკიცებულია
 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
 კაბინეტის 1991 წლის 20 დეკემბრის
 № 975 დადგენილებით

ავიაკომპანია „ივერიას“

წესდება

1. საერთო დებულებანი

1.1. ავიაკომპანია „ივერია“ არის სახელმწიფო საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაზიდვებს, საავიაციო სამუშაოებს, სხვა საქმიანობას და მომსახურებას სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპებზე.

1.2. ავიაკომპანია ფუნქციონირებს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში.

1.3. ავიაკომპანია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, ყოფილი სსრ კავშირის საჰაერო კოდექსით (საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო კოდექსის შემოღებამდე), საერთაშორისო ნორმატიული აქტებით სამოქალაქო ავიაციის დარგში, ყოფილი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით სამოქალაქო ავიაციის დარგში და მათ საფუძველზე დადებული შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებით, ტრანსპორტის მინისტრის ბრძანებით, ასევე ამ წესდებით.

1.4. ავიაკომპანია არის იურიდიული პირი. აქვს საწესდებო ფონდი, რომელიც 1991 წლის პირველი ოქტომბრისათვის შეადგენს 104 მილიონ 909 მანეთს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში და საზღვარგარეთ.

ავიაკომპანიის ანგარიშსწორების ანგარიშია: № 005420802 ქალაქ თბილისის მრეწველმშენაკის საოპერაციო სამმართველოში.

ავიაკომპანიის სავალუტო ანგარიშია: № 670801177/002 სსრკ საგარეო ეკონომბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში. ქ. თბილისი.

1.5. ავიაკომპანია სარგებლობს საკუთარი ემბლემით, რომელიც თავისი სიმბოლიკით გამოხატავს საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებას რეესტრის ნომრით.

1.6. ავიაკომპანიას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებითა და სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

1.7. ავიაკომპანიის ადგილსამყოფელია: 380058 ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 28.

2. ავიაკომპანიის საქმიანობის ძირითადი ამოცანები, მიზნები და ხასიათი

2.1 ავიაკომპანიის მთავარი ამოცანებია: საჰაერო გადაზიდვებსა და საავიაციო სამუშაოებზე საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ფრენის უსაფრთხოების

დაცვითა და მგზავრთა მომსახურების მაღალი კულტურის უზრუნველყოფით; ავიაკომპანიის მიერ მოგების მიღების ყოველმხრივ დაინტერესება.

2.2. მთავარი ამოცანების განხორციელებისათვის ავიაკომპანია უზრუნველყოფს:

2.2.1. ავიაგადაზიდვების გაფართოებას რესპუბლიკის შიგნით და მის სზღვრებს გარეთ, გადაზიდვების ორგანიზაციისა და მგზავრთა მომსახურებისათვის საერთაშორისო ნორმებით დადგენილი სტანდარტების, ნორმებისა და მოთხოვნების შესრულებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სააგენტოებში, აეროპორტებსა და საჰაერო ხომალდებში მგზავრთა მომსახურების ქსელების, ფორმებისა და სახეების განვითარებას.

2.2.2. საჰაერო ხომალდების პარკის აღჭურვას, ფრენის უსაფრთხოებას, ავიასაწარმოთა მიწისზედა ბაზის, ავიაბილეთების გაყიდვასა და დაჯავშნის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკური მომსახურების სტრატეგიის შემუშავებასა და გადაწყვეტას. სახელმწიფო სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოების შენახვას.

2.2.3. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ობტინალური გეგმების, მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავებას.

2.2.4. სახელმწიფოებო ვალდებულებათა მკაცრ დაცვას.

2.2.5. ფრენისა და საავიაციო ტექნიკის ტექნიკური ექსპლუატაციის ორგანიზაციისა და მართვას; საჰაერო მოძრაობის მართვას ავიაკომპანიის მოქმედების ფარგლებში.

2.2.6. საჰაერო ხომალდების რეგულარულ მოძრაობას დადგენილი გრაფიკის მიხედვით, მგზავრთა მომსახურების მაღალ კულტურას მიწაზე და ფრენისას, საავიაციო სამუშაოთა დროულ და ხარისხიან შესრულებას, სახალხო-სამეურნეო ტვირთის დროულ გადაზიდვას.

2.2.7. მოგების, წარმოების ეფექტიანობის განვითარებასა და გაზრდას, მის ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, რესურსების დაზოგვას, საწვავის ეკონომიას.

2.2.8. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებას სატრანსპორტო პროგრესის, საავიაციო სამუშაოების, საავიაციო და მიწისზედა ტექნიკის ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციაში ამ მიღწევათა წარმოებაში დანერგვის ვადების შემცირებას.

2.2.9. ავიაკომპანიაში შემავალი საწარმოების, სტრუქტურული ერთეულების განვითარების გეგმაზომიერებას, მათი განვითარების ეკონომიკური და საწარმოო პირობების გათანაბრებას, ავიაკომპანიის შიგნით ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას.

2.2.10. საერთო სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დაფინანსებას; ავიაკომპანიის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების უსაფრთხო ფრენის ინსპექტირებას, საავიაციო შემთხვევებისა და ავა-

რიების აღმკვეთი ზომების შემუშავებასა და გატარებას. თავისი საქმიანობისათვის მშენებლობის დაპროექტებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრასა და გადაწყვეტას.

2.2.11. მატერიალურ-ტექნიკურ (მათ შორის — კაპიტალური მშენებლობის) მომარაგებას.

2.2.12. ავიაკომპანიის მუშაკების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

2.2.13. სახელმწიფო საკუთრების დაცვასა და ეფექტიან გამოყენებას.

2.2.14. ავიაკომპანიის საწარმოების, სტრუქტურული ერთეულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლს.

2.2.15 ავიაკომპანიის საწარმოებისათვის მეთოდურ დახმარებას საწარმო-სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის ყველა მიმართულებით;

2.2.16. ავიაკომპანიაში შემავალი საწარმოების და სტრუქტურული ერთეულების მომზადებას შესაბამისი გეგმებით გათვალისწინებული თავდაცვითი ამოცანების შესასრულებლად;

2.2.17. თავისი პასუხისმგებლობის ზონაში საძიებო და ავარიულ-მაშველი სამუშაოების, სახალხო მეურნეობაში ავარიებისა და კატასტროფების, ასევე, სტიქიურ და ეკოლოგიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების შესრულება.

2.2.18. შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას, კონტროლს შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების შესრულებაზე, ტრავმატიზმისა და დაავადებათა აცილების ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვას.

2.2.19. კოლექტივის სოციალურ განვითარებას, სოციალური სფეროს თანამედროვე მატერიალური ბაზის ფორმირებას, შრომითი კოლექტივის წევრთა შემოსავლების ზრდას შრომითი წვლილის გათვალისწინებით.

2.2.20. ავიაკომპანიისა და მისი საწარმოების საერთო ინტერესების წარმოდგენას შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

2.2.21. მოქმედი ეკოლოგიური ნორმებისა და სტანდარტების მკაცრ დაცვას თავისი საქმიანობის მთელ ზონაში.

2.3. ავიაკომპანიის ძირითადი საქმიანობის საგანია მგზავრთა, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის განხორციელება მათზე მიმავრებულ შიდა და საერთაშორისო საჰაერო ხაზებზე. თანმზღები საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურების გაწევა, საავიაციო სამუშაოების შესრულება სახალხო მეურნეობაში, ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების საავიაციო მომსახურება.

ავიაკომპანიას შეუძლია განახორციელოს აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეები, თუ ისინი აკრძალული არ არის საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით და პასუხობენ ავიაკომპანიის წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს.

2.4. ავიაკომპანია აგებს თავის საწარმო-სამეურნეო და ფინანსურ საქმიანობას, განსაზღვრავს განვითარების პერსპექტივებს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების, აგრეთვე მათი ერთობლივი საქმიანობის პროგრამების საფუძველზე.

2.5. ავიაკომპანიას შეუძლია თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებანი, ისარგებლოს ბანკის კრედიტით, განახორციელოს საქესპორტო-საიმპორტო ოპერაციები და სხვა საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, შექმნას ერთობლივი საწარმოები, მათ შორის უცხოეთის ფირმებთან ერთად, წარმოადგინოს ავიაკომპანიის ინტერესები სხვა საწარმოებთან ურთიერთობაში.

2.6. ავიაკომპანიას შეუძლია განახორციელოს თავისი საქმიანობა სამეურნეო კომპლექსის ყველა დარგში, წარმართოს საწარმო-სამეურნეო და საგარეო ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კავშირებსა და ასოციაციებში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და ავიაკომპანიის წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად.

3. ავიაკომპანიის უფლება-მოვალეობანი

3.1. ავიაკომპანიის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები წარმოადგენენ მის სტრუქტურულ ერთეულებს.

3.2. ავიაკომპანია განსაზღვრავს საერთო სტრუქტურას და ადგენს მხოლოდ მისი სამმართველო აპარატის შტატებს. ავიაკომპანიაში შემავალ საწარმოთა შტატებს ადგენენ თვით ეს საწარმოები.

3.3. ავიაკომპანიას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს გამოუშვას და გაყიდოს ფასიანი ქაღალდები და აქციები, რათა მიიზიდოს დამატებითი სახსრები წარმოების გაფართოების, შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარებისა და სხვა მიზნით.

3.4. ავიაკომპანიას უფლება აქვს შეასრულოს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვები, საავიაციო სამუშაოები საზღვარგარეთ, გადასცეს იჯარით საჰაერო ხომალდები (ექიპაჟებით და უექიპაჟოდ) უცხოეთის ავიაკომპანიას, ფირმებსა და ორგანიზაციებს კანონით დადგენილი წესით, სავალუტო თვითდაფინანსების პირობებში, შეიძინოს ან იჯარით აიღოს საჰაერო ხომალდები და სხვა ქონება ქვეყნის ნებისმიერი უწყებისაგან და უცხოეთის ფირმებისაგან, ასევე განახორციელოს თავისი საქმიანობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ავიაკომპანიის თანამშრომლობა უცხოეთის ავიაკომპანიებთან, ფირმებთან და ორგანიზაციებთან ხორციელდება.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების, საჰაერო მიმოსვლის სფეროში უწყებათაშორისო შეთანხმებების პირობათა გათვალისწინებით.

3.5. საქმიანობის ყველა სახე საერთაშორისო ფრენათა წარმოების, უზრუნველყოფისა და მომსახურების, საერთაშორისო გადაზიდვებისა და საავი-

აცო სამუშაოების შესრულების სფეროში ექვემდებარება სერტიფიცირებასა და ლიცენზირებას დადგენილი წესით.

3.6. უცხოეთის სახელმწიფოებში საპაეო ხომალდების შექმნის შემთხვევაში ავიაკომპანიას უფლება აქვს დადგენილი წესით აწარმოოს პირადი შემადგენლობის მიმზადება და სტაჟირება ფირმა-დამამზადებლის საწარმოებში თავისი სავალუტო სახსრების ხარჯზე.

3.7. ავიაკომპანიას დადგენილი წესით უფლება აქვს ჰყავდეს თავისი კომერციული წარმომადგენელი იმ ქვეყნებში, რომლებშიც ახორციელებს ფრენას, ასევე საჰაეროების შემთხვევაში — სხვა ქვეყნებშიც. აღნიშნული წარმომადგენლების შესანახ ხარჯებს გაიღებს ავიაკომპანია.

3.8 ავიაკომპანიას უფლება აქვს დაადგინოს თარიღები საერთაშორისო ჩარტერულ რეისებზე ხელშეკრულებების, კონტრაქტებისა და შეთანხმებების საფუძველზე (სახელშეკრულებო ფასებით).

4. ავიაკომპანიის ქონება

4.1. ავიაკომპანიის ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი სახსრები, ასევე სხვა ფასეულობანი, რომელთა ღირებულებაც აისახება ავიაკომპანიის დამოუკიდებელ ბალანსში.

4.2. ავიაკომპანია ახორციელებს მფლობელობის და სარგებლობის უფლებებს ქონებაზე, რომელიც შედგება ძირითადი ფონდებისაგან, საბრუნავი საშუალებებისაგან, სხვა მატერიალური ფასეულობებისაგან და ფინანსური რესურსებისაგან, სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებით, ავიაკომპანიისათვის ქონების გადაცემის აქტის შესაბამისად.

4.3. ავიაკომპანიას აქვს ქონების იჯარით აღების და გადაცემის უფლება კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. გადასახადებისა და ბიუჯეტში სხვა გადასახადების გახადის შემდეგ დარჩენილი მოგება ავიაკომპანიის მიერ გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.5. ავიაკომპანიაზე გადაცემული ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსში.

4.6. ავიაკომპანიის ქონების ფორმირების წყაროებია:

- მოგება;
- შემოსავლები საავიაციო გადაზიდვებიდან, საავიაციო სამუშაოებიდან, მომსახურებიდან და სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეობებიდან;
- შემოსავლები ფაიანი ქაღალდებიდან;
- ბანკის კრედიტები და სხვა კრედიტები;
- კაპიტალური დახანდებანი და დოტაციები ბიუჯეტებიდან;
- ორგანიზაციების, საწარმოებისა და მოქალაქეების უსასყიდლო და საქველმოქმედო შენატანები, შემოწირულობანი;
- სხვა წყაროები, რაც აკრძალული არ არის საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით.

4.7. ავიაკომპანიას უფლება აქვს იჭარის უფლებებით გამოიყენოს ქონება, რომელიც მას არ ეკუთვნის.

4.8. ავიაკომპანია მოგების განაწილებას ახორციელებს არსებული წესის თანახმად.

4.9. ავიაკომპანია ბიუჯეტთან ურთიერთობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.10. ავიაკომპანიას შეუძლია შექმნას ფონდები, მათ შორის წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის, სარეზერვო (სადაზღვევო), სავალუტო და სხვა.

ავიაკომპანიის ფონდების შემადგენლობას, დანიშნულებას, მოცულობასა და მოხმარების წესს განსაზღვრავს ავიაკომპანიის დირექცია.

5. ავიაკომპანიის მმართველობის ორგანოები

5.1. ავიაკომპანიის მართვა ხორციელდება ამ წესდების შესაბამისად და საკუთარი ქონების სამეურნეო მოხმარების მესაკუთრის უფლებათა საფუძველზე.

5.2. ავიაკომპანიის მმართველობის კოლექტიური ორგანოა ავიაკომპანიის დირექცია.

დირექციის შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი, მისი მოადგილეები, აღმასრულებელი დირექციის სამსახურების (განყოფილებების) ხელმძღვანელები, ავიაკომპანიის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

5.3.1. ავიაკომპანიის დირექცია:

— განსაზღვრავს ავიაკომპანიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგად მიმართულებას;

— განსაზღვრავს წმინდა მოგების განაწილების წესს;

— ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის წარდგინებით იღებს რეკომენდაციებს ავიაკომპანიის ფასიანი ქაღალდების გამოაშვებად, სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ფასიანი ქაღალდების შესაძენად, ასევე სხვა უწყებათა საწარმოების (ორგანიზაციების) მთლიანად გამოსყიდვაზე (გასაყიდად);

— იხილავს ქვესაწარმოთა შექმნის, ავიაკომპანიის ფილიალებისა და სხვა განკერძოებული ქვედანაყოფების შექმნისა და საქმიანობის შეწყვეტის, ასოციაციებსა და გაერთიანებებში ავიაკომპანიის შესვლისა და გამოსვლის საკითხებს;

— ლებულობს რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხება ავიაკომპანიის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითად საკითხებს;

— განიხილავს ავიაკომპანიის აღმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს შორის წარმოშობის კონფლიქტურ სიტუაციებს და ლებულობს ზომებს მათ გადასაწყვეტად;

— ლებულობს რეკომენდაციებს ავიაკომპანიის საწარმოებში სახლი საავიაციო ტექნიკის განკარგვის თაობაზე;

— ისმენს აღმასრულებელი დირექციის ხელმძღვანელი ორგანოების ინფორმაციებს ავიაკომპანიის საწარმო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შესახებ და ღებულობს შესაბამის რეკომენდაციებს;

— განიხილავს ავიაკომპანიაში შემაჯავლი საწარმოების თავდაცვითი ამოცანებსა და შესაძლებლად მომზადების საკითხებს.

5.3.2. ავიაკომპანიის დირექციის რეკომენდაციები მასში შემავალი საწარმოებისა და ქვესაწარმოების მიმართ მიიღება ხმათა უმრავლესობით და ფორმდება ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით.

5.3. ავიაკომპანიის დირექციის რეკომენდაციები ითვლება მიღებულად, თუ კენჭის ქრაში მონაწილეობა მიიღო ავიაკომპანიის საბჭოს წევრთა ორმა მესამედმა.

5.4. ავიაკომპანიის ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც თანამდებობაზე დაინიშნება და გათავისუფლდება დადგენილი წესით.

5.5. გენერალური დირექტორი დამოუკიდებლად წყვეტს ავიაკომპანიის საქმიანობის ყველა საკითხება გარდა საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა.

5.6. გენერალური დირექტორი მინდობილობის გარეშე მოქმედებს ავიაკომპანიის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს ყველა საბჭოთა და სასაზღვარგარეთის საწარმოში, ფირმებსა და ორგანიზაციებში, განაგებს ავიაკომპანიის ქონებას, ღებს ხელშეკრულებებს, მათ შორის შრომით ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს, აარგებლობს სახსრების განკარგვის უფლებით, გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომელიც სავალდებულოა ავიაკომპანიის ყველა მუშაკისათვის.

5.7. გენერალური დირექტორის ჰყავს მოადგილეები.

5.7.1. გენერალური დირექტორის მოადგილეები და მთავარი ბუღალტერი ინიშნებიან გენერალური დირექტორის წარდგინებით ტრანსპორტის მინისტრის ბრძანებით, საწარმოთა ხელმძღვანელები. სტრუქტურული ერთეულების, ქვედანაყოფებისა და აღმასრულებელი დირექციის განყოფილებების ხელმძღვანელები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით.

5.7.2. მოვალეობებს გენერალური დირექტორის მოადგილეებს შორის ანაწილებს გენერალური დირექტორი.

5.7.3. ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეთა გადაწყვეტილებანი სავალდებულოა მათდამი დაქვემდებარებული ყველა მუშაკისათვის.

5.7.4. გენერალური დირექტორი ავიაკომპანიის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი დირექციის საშუალებით.

6. ავიაკომპანიის აღმასრულებელი დირექცია

6.1. ავიაკომპანიის აღმასრულებელი დირექცია არის მმართველობის აღმასრულებელი ორგანო და ახორციელებს ავიაკომპანიის მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას.

6.2. აღმასრულებელ დირექციას სათავეში უდგას ავიაკომპანიის გენერალური დირექტორი.

6.3. აღმასრულებელი დირექციის სტრუქტურას, შტატებსა და შრომის ანაზღაურების პირობებს განსაზღვრავს და ამტკიცებს, გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, გენერალური დირექტორი.

6.4. თანამდებობის პირები და აღმასრულებელი დირექცია თავის უფლება-მოსილებათა ფარგლებში პასუხს აგებენ ავიაკომპანიის საქმიანობის შედეგებისათვის.

6.5. აღმასრულებელი დირექციის შენახვის სახსრები იქმნება დაქვემდებარებული საწარმოების ანარიცხებიდან, რომლის რაოდენობა განისაზღვრება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. კონტროლი, აღრიცხვა და ანგარიშგება

7.1. ავიაკომპანიის საინსპექტორო მოღვაწეობა ფრენათა უსაფრთხოების საკითხებში ხორციელდება საინსპექტორო ორგანოების მიერ.

7.2. ავიაკომპანია ახორციელებს თავისი მუშაობის შედეგების ოპერატიულ და ბუღალტრულ აღრიცხვას, აწარმოებს სტატისტიკურ ანგარიშგებას და წარადგენს მას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და სტატისტიკის სახელმწიფო ორგანოებში, დადგენილი წესით.

7.3. ავიაკომპანიის, ავიაკომპანიის საწარმოების, სტრუქტურული ერთეულებისა და ქვესაწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი და რევიზია ხორციელდება დადგენილი წესით.

8. ავიაკომპანიის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა

8.1. ავიაკომპანიის ლიკვიდაცია თა რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) იწარმოებს კანონით დადგენილი წესით.

8.2. შემნახველი ბანკის საქმიანობაზე საერთო კონტროლს ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი. ან მისი დაპოლებით აუდიტორული ორგანიზაციები, აგრეთვე ერთნაირი ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

8.3. მოსახლეობაზე გრძელვადიანი კრედიტებისა და იურიდიულ პირებში მოლოცადიანი სესხების გაცემისა და მათზე კონტროლის ორგანიზაციას ახორციელებს შემნახველი ბანკის გამგეობასთან არსებული საკრედიტო კომისია.

IX. სხვა დებულებები.

9.1. ამ წესდებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება შემნახველი ბანკის წინადადებით. მათ ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი და რეგისტრაციაში ატარებს ეროვნული ბანკი.

9.2. შემნახველი ბანკის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით შემნახველი ბანკის გამგეობასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

